

# ქართული ჟურნალი



საქართველოს  
მედიკალური  
კავშირის  
გაზეთი  
№7 (255)  
1-31 ოქტომბერი  
2017  
ფასი 1 ლარი

გამომცემი  
თავისუფლება

## წაგაბის პანორამა

### სოსო სიგუა

იყო დრო, როცა მწერლები მართავდნენ ფესტივალებს, კონფერენციებს, ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ერის შვილები და ერთად სჯიდნენ დროის სატკივარს. მათ სიტყვას ყურს უგდებდა მკითხველი, ყურს უგდებდა ხელისუფალი. განმარტოებული ექსპერიმენტატორიც იწვევდა მასის ინტერესს. მაგრამ დღეს სხვა სიტუაციაა – დრომ მოიტანა სხვა პრობლემები და არც მასას, არც ელიტას აღარ აღელვებს მხატვრული სიტყვა. თითქოს ადამიანმა დაკარგა ოცნების უნარი და მხოლოდ ის აინტერესებს, რაც გამოადგება, რაც თვალთ ხილულია და ხელშესახები. მწერალი მაინც ფხიზლობს, როგორც გუშაგი ბნელ ღამეში და ახალ განთიადს ელოდება.

\*\*\*

„წამება“ – ასე ჰქვია რევაზ მიშველაძის ახალ, რიგით მესამე რომანს, რომელიც აგრძელებს მწერლის ადრევე გამოკვეთილ და მრავალ თხზულებაში გაშლილ მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ პოზიციას. მაგრამ ამჯერად ავტორმა არაერთი სიახლეც შემოგვთავაზა – ეს ეხება რომანის არქიტექტონიკას, პერსონაჟთა სტრუქტურას, ფაქტის გააზრებას, დროის ლოკალს.

ამ ნიგნშიც რევაზ მიშველაძე მიმართავს ნოველისტურ კომპოზიციას, რაც კარგად არის ცნობილი ჩვენს მწერლობაში (მაგ., მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ჭ. ამირეჯიბი). ეს მისთვის სავესებით ბუნებრივად არის, ბუნებრივია იმ ავტორისათვის, რომელმაც მრავალი წელი შეაღწია ნოველის მკაცრად შეზღუდული ჩარჩოს ახლებურ მოდელირებას, მცირე და მწირი ფაქტების წარმოსახვით გავრცობას, სინამდვილის დეტალიზებას, დეტალებით პანორამის ხატვას.

ამ ახალი ნიგნის ორიგინალობა გამოიხატა რომანის პროლოგითა (მწერლის ტერმინით – თავი) და ეპილოგითაც (ბოლო), ნოველების დაწყება-დასრულებით:

უნივერსიტეტიდან გაძევებული, ღვანლმოსილი პროფესორი ისტორიკოსი ლევან კაკაბაძე მიდის გარდაბნის ერთ-ერთ ქვაბსაყდარში, იქ დაყუდებულ მორჩილთან, რომელსაც დაუტოვებს თავისი ლექციების ნიგნს. არსებითად ეს არის ქართველი ერის წამების მატინის ეპიზოდები, ნოველის ფორმით ილუსტრირებული.

შესანიშნავია ნიგნის პირველივე სტრიქონები, რომლებიც გვიქმნიან შესაბამის განწყო-

ბილებას და რჩებიან მეხსიერებაში:

„გარდაბნის თავისთავი უდაბნო მთვარის ზედაპირს ჰგავდა. მთვარის ზედაპირით უსიცოცხლოს და უამრავი ფიალის ანაბეჭდებით დაღრმულულს დევთა საფლავებად აჩნდა ქვიშის ბორცვები.“

არავინ იცის, მითაჟამის სიძველე შემოხმობოდა გარდაბნის ტანს თუ მილიონი წლის წინათ ოკეანეს გადაედოვა ეს ეულად შთენილი შემოგარენი“.



პროფესორი მორჩილს ეუბნება თავის გულისტკივილს, თუ როგორ უსამართლოდ მოექცნენ და როგორ დაატოვებინეს უნივერსიტეტი. მაგრამ არ უმხელს თუ თავად რას აპირებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

ლევანი რომ წავა, მორჩილი იწყებს ნიგნის კითხვას. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ პროფესორს თავის მოკვლა განეზრახა. მოხუცი თბილისის ზღვას მიაშურებს, რათა ასე დაუსვას წერტილი თავის განამებულ ცხოვრებას. მაგრამ მაშველები გადაარჩენენ. პროფესორი მაინც განდგომას არჩევს ამ ცხოვრებისაგან და შიომღვიმის მონასტერში ბერად შედგება.

მწერალი მისტიფიცირების ხერხით თავის ცნობილ ნოველებს მიაწერს ლევან კაკაბაძეს, რომელმაც, როგორც ისტორიკოსმა, ქართ-

ლის ცხოვრების თემატიკით შეაკავშირა ისინი.

რომანს პროფესორისა და მორჩილის გარდა სხვა გამაერთიანებელი პერსონაჟები არა ჰყავს. სხვები წუთიერად ჩნდებიან რომელიმე ეპიზოდში და შემდეგ ქრებიან. ასე რომ აქ მთავარია არა ტრადიციული სიუჟეტის განვითარება, არამედ – კონცეფციის პერსონაჟებად დანაწილება. ამიტომ სათანადო ყურადღება ექცევა მონტაჟის ტექნიკას, რათა ნოველისტური ეპიზოდების სიმრავლე ერთიან თხრობად წარმოგვიდგინოს.

ტრაგედიის მსგავსად პროფესორის რემარკები აგებს ქართველთა წამების მატინს, რაც მწერალმა გაჰყო სამ პრობლემურ ნაწილად – „არჩევანი“, „ბელურა გემის ანძაზე“ და „შიში?!“.

პირველი ორი თუ ისტორიას გვაცნობს, მესამე მომავლის ხილვას თუ როგორი იქნება ქართველთა მოდგმა, ასი-სამასი წელი რომ გაივლის, ტერიტორიები დაუბრუნდება, განმტკიცდება თუ ისევ მოუწევს ბრძოლა გადასარჩენად, თუ ისევ არჩევანის წინაშე იქნება – მესამე მსოფლიო ომის შემდეგ.

რომანის ძირითადი პერსონაჟი ლევან კაკაბაძე ისტორიული პროცესების მჭვრეტელია. როგორც ფაქტოლოგი და როგორც მოაზროვნე, იგი ეძებს ქართველის ბუნებაში როგორც სიკეთის, ისე ბედოვლათობისა და უნიათობის, როგორც სიმამაცის, ისე სიმხდალის გამომწვევ მიზეზებს. მაგრამ თავად არ არის მოქმედი, ინიციატორი, ლიდერი ან ლიდერობის მოსურნე.

იგი ფაქტების მიღმა იკვლევს მის უჩინარ, მეორე მხარეს, რაც ხშირად ცნობილს ახლებურად დაგვანახებს. მაგ., სენაკი იმდენად სწრაფად გადადის ხელიდან ხელში, რომ დაბნეული ხალხი აღარავის ემხრობა და იძახის – „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს“; ოტობაიელი ლტოლვილი სოხუმში თავის სახლს მონახულებს, რომელშიც აფხაზი ცხოვრობს. ამ აფხაზს კი ისევ ძველი მეპატრონის სურათი უკიდია კედელზე; რუსის საოკუპაციო ჯარის გასვლას ყველა მოითხოვს, მაგრამ როცა ხელმოწერაზე მიდგება საქმე, თავს იკავებენ. არგუმენტებიც იმდენად საინტერესოა, რომ ზოგჯერ ყურადსაღებიც კი არის; სასირეთის პრეფექტის უმწეო მდგომარეობა ისეა დახატული, აშკარად ვხედავთ, რომ ქვეყანა დაშლილია; ზოგან ტრაგედიას ერთვის კომიკური სიტუაცია (მაგ., ძმები დემეტრაძეების ისტო-

► 133.

რიაში); საწყობში დავანებული მარქსიზმის ოდესღაც მრისხანე ბელადების ბიუსტებსა და პორტრეტებს ჰყრიან საბარგო ავტომანქანაზე და სადღაც მიაქვთ, ჩუკოტკაზე თუ ჩუქჩები შვეულმფრენზე ლამის ლოცულობენ, ქართველები ერთ ღამეში ისე გაძარცვავენ ექიმის მანქანას, მხოლოდ ჩონჩხიღა დარჩება.

ამდენად – რევაზ მიშველაძის ახალ რომანშიც მთავარი თემა არის ქართლის ჭირი და ბედი ქართლისა. მართალია, ლევ ტოლსტოი აღნიშნავდა, რომ პატრიოტიკა არ შეიძლება ლიტერატურის საგანი იყოს (თუმცა თავად „ომი და მშვიდობა“ დაწერა), მაგრამ ეს არის დიდი, გამარჯვებული ერის პოზიცია. სხვა არის მცირე, დამცრობილი, ტერიტორია და თავისუფლებადაკარგული ქვეყნის მდგომარეობა, რომელიც მუდმივად იბრძვის გადარჩენისათვის.

ამიტომ მის ბრძოლას მართლაც განუყრელად ახლავს არჩევანი, განსაცდელი და შიში, რაც იპყრობს და იმორჩილებს ადამიანთა ცნობიერებას, ცვლის ხასიათს, ინტერესებს, ბოროტისა და კეთილის გაგებას (მაგ., როგორ ტოვებენ გამარჯვებული ქართველი მეომრები პოზიციებს)..

ადამიანის ბუნების ცვალებადობას, ღირსებასა და ვერაგობას ზოგი სოციალური სფეროდან აშუქებს, ზოგს ინტელექტუალური ჭკრეტა იტაცებს, ზოგიც ცხოვრებისეულ დრამატიზმს არჩევს.

ეს ავტორის ხედვის პრინციპია. რევაზ მიშველაძის ამოსავალი ეროვნული პრობლემატიკაა, მისი ნაირგვარი წარმოდგენა სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა დროის ადამიანების მიერ ნათელი, სადა, ხატოვანი ენით, მრავალგვარი ხასიათებით, ეფექტური სიუჟეტებით.

ლევან კაკაბაძეს ჩანანერებისათვის სათაური არ მიუცია. იგი თავის იდეას აცნობს სტუდენტებს და მსჯელობის საილუსტრაციოდ ჰყვება დრამატულ ფაქტებს ჩვენი ისტორიიდან. შესაბამისად ყოველი მათგანის საწყისი დოკუმენტური მასალაა, რომელსაც ჰყავს როგორც ისტორიული პერსონა, ისე გამოგონილი პერსონაჟები.

ზვიად გამსახურდია, რომლის ლექტორიც ყოფილა ლევანი, ამბობდა, ქართველთა გზა ქრისტეს გზაა, გზა ტანჯვისა და ამაღლებისა. ჯერჯერობით კი ქართველებს განგებამ ტანჯვა-წამება-წვალება არგუნა და მათგან თავის დასაღწევად მუდმივად ლავირებდა. აი, ნიგნში რუსეთის ელჩობას ღებულობს ლევან II დადიანი, მაგრამ მათი მფარველობისაგან თავს იკავებს; იმერეთის მეფე როსტომიც ასევე თავის იკავებს სვიმონი წინადადებაზე, რომ ქართლი და იმერეთი გაერთიანდეს; სოლომონ I უქიმერიონის ციხიდან გააპარებს მოსისხლე თურქებს, ტოტლებენის ქვემეხებმა ციხე არ დამინგრიონო; პაატა ბატონიშვილი გმობს ერეკლეს რუსულ ორიენტაციას ანუ ქართველები მუდმივად ეძებენ გადარჩენის გზას, რადგან არ გააჩნიათ ხსნის შინაგანი რესურსი.

ქართველობა დაემგვანა ბელურას გემის ანძაზე, რომელიც ქარის ყოველ შემობერვაზე მზად უნდა იყოს გასაფრენად. მაგრამ არც მისი ჩამოგდებაა ძნელი.

რომანში ისევ გვხვდება ძველი, მწერლის მიერ გამოგონილი ტოპონიმები – საპრასია, საქვაბია, საიხვე, სასირეთი...

როგორც ვთქვით, ნიგნში ნოველების გან-

ლაგებას ადგილსა და მიმართულებას აძლევს პროფესორის რემარკა და მსჯელობა შემდეგ კი მოდის შესაბამისი ნოველა სათაურის გარეშე. ზოგჯერ ერთ მსჯელობას მოჰყვება რამდენიმე ნოველა, რაც, ვფიქრობ ზედმეტია. იქნებს სჯობდეს ერთ იდეას, ერთ საკითხს ახლდეს ერთი ნოველა, როგორც პროფესორის მიერ მოხმობილი საილუსტრაციო მასალა და მწირი ისტორიული ფაქტის ფანტაზიით შევსება, შესაძლებლობის რეალობად წარმოდგენა.

ნიგნში გამოყენებულია უამრავი მასალა, რაც თავისთავად საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ბევრი ისეთი საკითხია მხატვრულად გააზრებული, რაც მეტი ფანტაზირების, თავისუფალი ასოცირების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ავტორი ყოველთვის იცავს ზომიერებას, მსჯელობს და ხატავს დამაჯერებლად. ახალი დღეების დრამატულ ქრონიკას, ლატსა და ერთგულებას, ყალთაბანდობისა და სიმამაცეს მწერალი მოულოდნელი რაკურსით, მახვილი თვალთვალთახედვით წარმოაჩენს, ზუსტად და ობიექტურად – „ან და მარადის ღმერთს ებარებოდე შენ, ტანჯულო ზვიად“, ასეთი დასკვნა მოსდევს ამ პოლიტიკურ ორომტრიალს.

მინდა შევნიშნო, რომ რევაზ მიშველაძე თუ პუბლიცისტიკასა და კრიტიკაში კომპრომისულია, მხატვრულ შემოქმედებაში უაღრესად პრინციპული და მართალია. მისი ხატვა და მსჯელობა, დაკვირვება და დასკვნა მუდამ დამაფიქრებელია და გასაზიარებელი. რომანი „წამება“, მისი ცალკეული ნოველები, პერსონაჟები, მათი მრწამსი და ავტორის პოზიცია ამისი საუკეთესო დასტურია.

რომანს მთავარ ხაზად გასდევს რუსული გზის უარყოფა, რაც პირველად ლევან დადიანის პირით ითქვა: „რაც შეეხება ფიცის წიგნს, რაკი ხელმწიფეს სამი წელი დასჭირდა ჩემი ელჩის მისაღებად, ჩვენც თავს უფლებას მივცემთ, განვაცხადოთ, რომ ფიცის წიგნზე ხელმოწერისათვის ჯერ მზად არა ვართ. მფარველობის ქვეშ შესვლის პირობები ჯერ კიდევ შესასწავლია“.

ეს XVII საუკუნის 30-იანი წლებია. საუკუნენახევრის შემდეგ კი პაატა ბატონიშვილს ათქმევინებს მწერალი: „რუს ხელმწიფეზე უფრო უპიროს, უნდოს, სიტყვის გამტეხს მთელს დუნიაზე ვერ ნახავ“, „ასწლეულები დასჭირდება ჩვენს შთამომავლებს რუსეთის კლანჭებიდან თავის დასახსნელად“. მართლაც – საუკუნენახევარი კიდევ გაივლის და „შიშისგან სულგანაბული მოქალაქენი დაშვებული ფარდების მიღმა, დაგმანული სარკმლებიდან შესცქერიან XI ბოლშევიკური არმიის შემოსვლას თბილისში“.

XX საუკუნეში ტერიტორიების დაკარგვა, უამრავი მსხვერპლი, რეპრესიები, შინააშლილობა და ქაოსი მხოლოდ რუსეთისა და რუსოფილების სახელს უკავშირდება. როგორც ძალის კუდი არ გასწორდება, ისე რუსეთის პოლიტიკა არ შეიცვლება საქართველოს მიმართ, რადგან ეს იმპერიული პოლიტიკაა.

როგორია ადამიანთა მასა, რომელმაც ქვეყანა უნდა იხსნას და დაიცვას? მწერალი ნაირგვარი ვარიაციით გვიჩვენებს, რომ მაღალ იდეალებს ერთეულები ეწირებიან. მართალია, მათ მრავალი ატარებს და იზიარებს. მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგება, ყველა განრიდებას არჩევს, აქ რამე ხიფათს არ გადავეყაროთ, საქმე არ გავიფუჭოთ.

ერთი პერსონაჟი ქვეყნის გადასარჩენად

და არსებული ხელისუფლების დასამხობად მოიგონებს, იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ხსნა“ დავაარსოთო. ეს თავად იდეის ავტორსაც არ სჯერა. მაგრამ ამ უწყინარი ხუმრობით თანამოდძეთა პოზიციას ამომებს.

თავიდანვე ზოგმა თავი შეიკავა – ერთმა თქვა, ადვილად გამომტეხავენ, საიდუმლოს ვერ შევინახავო, მეორემ – სამ საიდუმლო პარტიამი ვარ და მეტი რა ვქნაო, ქალებმა თავი იმართლეს, სროლა არ ვიცითო. ხუთმა მაინც განაცხადა თანხმობა, თუმცა მალევე ნირი წაუხდათ. ერთმა უცებ მოიბოდიშა, ნოტარიუსი ვარ და ჩემი წევრობა არ შეიძლებაო, მეორემ – ჯანმრთელობა არ მივარგა, ვერაფერში გამოგადგებითო, მესამემ – ახლა წამშალე და შემდეგ ჩემს ორივე ძმას გვერდში ამოგიყენებთო, მეოთხემ – ბელგიაში გადავდივარ, აბა როგორ დაგეხმარებითო...

ასევე მოხდა, როცა ხელმოწერებს აგროვებენ, რათა რუსის საოკუპაციო ჯარი გავიდეს. თავიდან აქაც ყველა გულანთებულია, მაგრამ ენთუზიაზმი სწრაფად ქრება და ყველა შლის თავის ხელმოწერას.

აი, ტიპიური პასუხი: „მე საერთოდ კოლექტიურ განცხადებებს ხელს არ ვანერ. მე თვითონ ჩემი ანგარიში მაქვს ამ ხელისუფლებასთან. მე მარტოხელა მებრძოლი ვარ. სანამ ამათ არ დავამხობ, არ მოვისვენებ, რაც შეეხება კოლექტიურ ხელმოწერას, ეგ ბავშვური თამაშია და მაგნიარ მასობრივ თავისმოტყუებაში ვერ გავერვიო“.

ყალთაბანდების, მედროვეების, ურწმუნოთა, მშიშრების მასაში მხოლოდ ერთეულები ავლენენ თავგანწირვის უნარს, რასაც სიტყვით აფასებენ კიდევ. მაგრამ საქმით თანადგომა არავის უნდა, რადგან ყველას ესმის, რომ ტყვიას „ქართველი ქართველს ჯერჯერობით ზუსტად ახვედრებს“.

ამისი მაგალითია აკაკი ელიავასა და გოჩა ესებუას ეპიზოდები, ზვიად გამსახურდიას მონოლოგი.

საზოგადოება, რომელიც ლიდერს არ სცნობს, რომელსაც თავგანწირვის უნარი არა აქვს, თავისუფლებას ვერ მოიპოვებს და ვერც ქაოსს დააღწევს თავს.

რევაზ მიშველაძის ეს ახალი ნიგნიც უამრავ საფიქრალს აღძრავს. მწერალმა დიდი მხატვრული ძალით წარმოსახა ქართული ხასიათი, ნაკლი და ღირსება, ნიჭი და ბედოვლათობა, სიმამაცე და სიმხდალე, რამაც საბოლოოდ გული გაუტეხა მოხუც პროფესორს და ისიც ისე მიიყვანა თვითმკვლელობამდე, როგორც მწერლის პირველი რომანის მთავარი პერსონაჟი გელა კირთაძე.

\*\*\*

კონფორმისტულ საზოგადოებაში აღარც მაღალი იდეალები ფასობს, აღარც მათი მხედრები. გლობალიზაციამ და მასობრივმა კომფორტმა, ტექნიკის უჩვეულო პროგრესმა ადამიანს ჩამოაცილა მორალის, რელიგიის, კულტურის ილუზიური სამოსელი, მიღმა სამყაროს რწმენა და პრაგმატული, ყოველდღიური ინტერესების ამარა დატოვა. მაგრამ მწერალი იდეალისტი და მეოცნებეა, ახალი გზის მაძიებელი, უკეთესი დროის მედაფდაფე, რათა ასე სძლიოს ეჭვსა და შიშს, მტანჯველ რეალობას, რათა ერთეულთა მაგალითებით გადაფაროს მასობრივი უკეთურება, გაუტანლობა და ბედოვლათობა.

### ნიკოლოზ კურტანიძე



#### ვენაცვალე იმ სვეტაკ გულს

როცა ერთხელ გული დაჭრეს,  
მკერდი რკინით შეკრეს,  
დავემსგავსე უსუსურ ბავშვს -  
მომავალის მეკვლეს.

სულ წვეთ-წვეთად შევაგროვე,  
ციდან დილის ცვარი,  
ჩემი მცველი და მკურნალი  
საქართველო არი.

მიღბინს? მომავალზე ვწუხვარ,  
ანწყოს ვაგდებ არად,  
მე შვილი ვარ ცის და მიწისს,  
მინდვრის ყვავილს ვგავარ.

რა ვქნა, მზე რომ აღარ იყოს,  
ვის მოვტაცო ფერი?!  
რატომ მიჭირს მე სიცოცხლე,  
ვერაფრით ვერ ვხვდები.

იქნებ სიტბო შემომაკლდა?!  
მეც ვერა ვცემ სიტბოს?!  
ჩემი სული ძალას იკრებს,  
კვლავ სიცოცხლეს ითხოვს.

თითქოს რაღაც არ გამომდის,  
თითქოს რაღაც მბორკავს,  
თითქოს ბორკილები მადევს,  
ჩემი გული ბორგავს.

ერთ დღეს არის ბორკილს გაწყვეტ,  
მივაშურებ მდელიოს,  
შენს ნალკოტში ვინებვირებ,  
ჩემო საქართველო!

ყველაფერი ზღაპარია,  
ღმერთისაგან თქმული,  
ბევრი მოვა ქვეყანაზე  
კიდევ გაზაფხული.

მეც გაზაფხულს ამოვყვები,  
ცას გავეშვერ პეშვებს.  
ფიანდაზად დავეგები,  
მშრომელს - ლამის მეხრეს.

დღეს და ღამეს გავასწორებ,  
არ დავზოგავ ძალებს,  
ვენაცვალე იმ სვეტაკ გულს,  
მკერდში რომ ფართხალებს.

როცა ერთხელ გული დაჭრეს,  
მკერდი რკინით შეკრეს,  
დავემსგავსე უსუსურ ბავშვს -  
მომავალის მეკვლეს.

სულ წვეთ-წვეთად შევაგროვე,  
ციდან დილიდ ცვარი,  
ჩემი მცველი და მკურნალი  
საქართველო არი.

#### შმაგი ძველადის ხსოვნას

ბედის სამდურავს ვამბობ და  
სული ამოდის ყელში,  
ნეტავ რა ძალამ ჩაგაგდო,  
შმაგი, შენ ასეთ დღეში.

აღარ მოსულა დუშმანი  
და აღარც მტერი გყავდა,  
რაღად გაგწირა ნეტავი,  
გზას რომ უკულმა ხნავდა.

იყავი ალალ-მართალი -  
შრომისმოყვარე კაცი,  
შენგან ნაწყენი ამქვეყნად,  
ალბათ არავინ დადის.

ახლა დამტკიცდა, გეთაყვა,  
ღმერთსაც რომ კარგი უნდა,  
შენ ამ ქვეყანას, იცოდე,  
ემახსოვრები მუდამ.

დედის ტირილი ცას სწვდება,  
ცოლი და შვილი ცრემლს ღვრის,  
ბებიას ღვარი ჩამოსდის,  
თავის გაჩენას სწყევლის.

მაინც რა მოხდა ისეთი,  
რომ ვერ გაუძლო გულმა.  
რამ შეგანუხა ნეტავი -  
დანვა და დაადულა.

რატომ წაგერთვა სიცოცხლე,  
ცხოვრება სრულად არია...  
მამა, დეიდა, ბაბუა...  
უკვე იმქვეყნად არიან.

იქ გაუმართავთ ზეიმი,  
ანთია ბევრი სანთელი,  
ბიჭო! შენს ლამაზ სახესაც  
ადგია დიდი ნათელი.

#### სინანული

ახალი წელი მოდის და  
აზრები გადავალაგე,  
კვლავ ოცნებები მოვიხმე,  
ისევ ვესტუმრე ალაგებს.

იქ, სადაც ჩემი ბავშვობა  
ვარდივით იფურჩქნებოდა,  
იქ, სადაც ყოველ საღამოს  
მზე დაბლა დაეშვებოდა.

დილით კვლავ ამოდიოდა,  
თავს სხივებს გადმოგვაყრიდა,  
ოხ, ისევ ამოვიდოდეს,  
მე სხვა სიკეთე არ მინდა!

მზე, იტყვი, ახლაც ამოდის,  
თავის ჩახჩახა სხივებით,  
ახლაც ხომ უვლის გარემოს,  
მოქარგავს ვარდყვავილებით.

მაგრამ ახლა ხომ ჩემს თვალში  
სულ სხვა სიცოცხლე ხალისობს,  
იმ ჩემს პატარა ბავშვობას,  
აქ აღარავინ არ იცნობს.

#### ანანტასიას

ანანტასია კვარაცხელიას საახალწლოდ

ეკრანზე როგორ მიყვარდი,  
ახლა მიყვარხარ ფოტოზე,  
შენ მიხანგრძლივებ სიცოცხლეს,  
შენ მიხანგრძლივებ, მხოლოდ შენ!

შენა და შენისთანები  
ხართ ისე, როგორც შარბათი,  
ტკბილები და ლამაზები,  
ნანატრი, როგორც შაბათი...

თერთმეტი შვილიშვილი მყავს,  
უკვე დიდები არიან,  
დილაზე თვალებს რომ ვახელ  
მახსენდებიან ადრიან.

პირჯვარს ვისახავ და ვამბობ,  
და ვნატრობ მხოლოდ ერთს:  
შენ, იმათ, შენისთანებსაც  
ვავედრებ ქრისტე ღმერთს.  
ყველას გილოცავთ ახალ წელს!  
მზემ დილა ანათელოს,  
ისწავლეთ, გამოადექით  
მშობლიურ საქართველოს!

#### დაცარიელდა სოფელი!

დაშუაკაცდნენ შვილები,  
ჩვენც მივადექით ბოლო კარს,  
დაზრდილან შვილიშვილები,  
ბერბიჭებს ცოლი არ მოჰყავთ.

დაცარიელდა სოფელი,  
ბორგავს წინაპართ სულები,  
ჭიქას ავწევთ და ვტრაბახობთ,  
მოღეღილი გვაქვს გულები.

„წინაპართ ძვლები გვიყვარსო!  
ბავშვობის ნატერფალები!  
თავს შევწირავთო სამშობლოს!  
მომხვდურს არ დავემალებით!„

დამალული ვართ, შვილებო!  
სოფლისთვის დამალული ვართ!  
ჩვენ თუ არ გვიყვარს სოფელი,  
სოფელსაც აღარ ვუნდევართ.

მიზეზი ძლიერ ბევრი გვაქვს,  
თვლას ვერ აუვა თითები,  
კომპიუტერი გვჭირდება,  
რომ დავითვალთ მიზეზი.

ახლა საზღვარიც გაიხსნა,  
უფრო შორს გავილალებით,  
მკვდრებსაც დავკარგავთ, ცოცხლებსაც,  
ბოლოს ჩვენც დავიკარგებით.

სოფელი სოფლად დარჩება,  
მაგრამ ნეტავ ვინ იცხოვრებს?!  
გადამთიელნი მოვლიან -  
ჩვენს ნატერფალზე, იცოდეთ!

გვიან იქნება ტირილი,  
თითებზე მწარედ კბენანი,  
რაც ჩვენი ნებით დავკარგეთ,  
ვერ დაგვიბრუნებს ვერავინ.

წინაპრის სულებს რა ვუყოთ,  
ბორგავენ, ბორიალობენ,  
ლანდებად თვალწინ დგებიან,  
მრავალჯამიერს ამბობენ.

როცა ბოლო კარს აღებენ,  
მაშინ მთავრდება ყოველი,  
ღმერთო! ამ კარის გაღებას  
რად ჩქარობს წუთისოფელი?!  
ჩემო ძვირფასო ნათლულნო!

ჩემო ძვირფასო ნათლულნო!  
თქვენზე სულ მუდამ ვფიქრობ,  
თქვენი მოხუცი ნათლია  
მხოლოდ სიყვარულს ითხოვს.

ნათლულს ხომ სიტბოს გაცემა  
ნათლიამ უნდა ასწავლოს,  
მე არ ვარ კარგი ნათლია,  
თქვენ კი უფალმა გამრავლოთ.

თუმცა ძალიან მიყვარხართ,  
მაგრამ ამას ვერ ვამჟღავნებ,  
რა უნდა ვუთხრა ჩემს თავს, რომ  
ვერ მოგილოცავთ ახალ წელს.

უფულობა ჩანს ნამდვილად,  
ვარ „გრძნობებისგან დაცლილი“,  
ვნანობ, გვიან რომ ვიგრძენი,  
ოფლმა დამასხა ამ დილით.

გვიან გილოცავთ ახალ წელს,  
სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს,  
ღმერთმა ყველანი დაგლოცოთ  
და დიდი, დიდი გაგზარდოთ.

წინ კიდევ ნათლისლება და  
ბევრი ახალი წელია,  
ანგელოზები მოგიძღვით,  
ალილუიას მღერიან.

მეც თქვენთვის რამის მოლოცვა  
არ დამვიწყნოდეს არასდროს,  
ყოველმა ახალმა წელმა  
თქვენი სიკეთე მახაროს!

# დამფრთხალი ნღების ჰოეზია

## მურმან თავდიშვილი

ყოველი ქართველი პოეტი და პროფესიონალი პოეტი ორგზის პოეტიო, – ირწმუნებოდა ერთი სომეხი მოღვაწე. თუ ამ დებადს გავიზიარებთ, მაშინ იურისტის, ადვოკატის, სამართლის სპეციალისტის დავით ჯანაშიას მოზა-ირეობა და ნატიფი სიტყვისადმი ერთგულება არ უნდა გაგვიკვირდეს. სწორედ ამისი დასტურია სულ ახლახანს გამოცემული პოეტური კრებული „დამფრთხალი ნღები“.

(2016). სხვათა შორის, ნიგნის შინაარსიდან ბუნებრივად არის ამოზრდილი მისი სახელდება, რამეთუ ძირითადად 1990-იან ნღებს ეხება. ჩვენ გადაჭარბებულ შეფასებად არ გვესახება მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარის, პროფესორ სოსო სიგუას შეფასება, რომ ავტორი „აქაც ნამდვილი პროფესიონალია, აქაც სიმართლის, ოღონდ პოეტური სიმართლის მაძიებელი. მისი სტრიქონები ნათელი და ემოციურია“ (გვ. 2) და სანიმუშოდ, დასაჭაშნიკებლად მოყვანილია მართლაც გულის სიმის შემარხვეელი სტროფი:

სევდა ათრთოლებს მოყინულ ტოტებს,  
სველდება ღამე, უკვე ბინდდება,  
ქარი შენს სახელს წამოაბოდეზს  
და შენს სარკმელთან გაირინდება.

მოღით, თანამიმდევრულად მივყვით ნიგნს და, ამა თუ იმ თვალსაზრისით, ზოგიერთ მნიშვნელოვან ტაეპს, სტროფს, ლექსსა თუ ცალკეულ მხატვრულ საშუალებას საგანგებო ყურადღება დავუთმოთ.

მართალია, ერთგვარად მურმან ლებანიძისეული კილო კი ისმის იმ ტაეპებში, ახლა რომ უნდა გაგაცნოთ, ოღონდ ავტორი მაინც აღწევს თავს სახელოვანი მესიტყვის მო-მაჯადოებელ ზეგავლენას, როცა „დედაო საქართველოს“ მეორე სტროფსა თხზავს:

ღამის საგულეში ჩაგიტო, ისე პატარა ხარ, სვენათელო,  
სულით, გულით მინდა გემსახურო,  
შენი დურგალი ვარ, შენი ხურო,  
დედაო საქართველო! (9)

მეორე პნკარის ლებანიძისეული ინტონაცია ერთგვარად მარლის იმ კვინინის როლს ასრულებს, რომელიც გემოს აძლევს ნაკმაზს.

აქვე ბარემ ესეც ითქვას:

ჩვენს მოზაირეს საერთოდ ახასიათებს კონკრეტულ ავტორთა და ხალხური (მეგრული) ნიმუშების ცალკეულ სახეთა და მოტივთა გამოვლენა, გამოყენება, საკუთარ ტექსტში მათი ჩართვა და ეს, შესაძლოა, მის თავისებურებად, მწერლურ სტილადაც კი აღვიქვათ. აგერ საამრიგო კარგი მაგალითი, კარგი იმიტომ, რომ აქ საკუთარიც საკმაოდ ეფექტიანია:

სხივებმა დინჯად აკრიფეს ბინდი,  
ღამე ნაპირზე თოვლივით დნება,  
„ზღვა არის ახლა ისეთი მშვიდი“, ვით სიმღერისას პოეტის გზნება (11).

ჩვენი ავტორი ფორმობრივ ინიციატივას როდი იჩენს. მის ლექსს არ ეტყობა, რომ მას თხზავს მიმდევრობათა და სტილთა კალეიდოსკოპის მოყურადე პიროვნება. ეს არის ტრადიციული რეალისტური მიმართება საგნებისა და მოვლენებისადმი. ამიტომ აქ ფორმობრივი აღმოჩენა-ნი და მიგნებანი გამორიცხულია და, თუ რომელიმე სახე ან ფიგურა მაინც მოგვწონს, ყველა მათგანი თავსდება რეალისტურ ჩარჩოებში. თქმული ქმნილების ყველა კომპონენტს ეხება, გარდა რითმისა. აქ მელექსეს გამოცდილი სიმბოლისტიკების მსგავსი ყურთასმენა აქვს. ამიტომაც მისი რითმა მდიდარია, უფრო ხშირად – დაქტილური და ჰიპერდაქტილურიც კი! ამის კარგი ნიმუში ბევრგან იხილვის. „გული იფერფლება“ ამგვარ მაგალითებსა გვანდის: განამწარი – განა კვარი; ამირბარად – კვარისდარად; დავიცვარო – საფიცარო; დაშლილ ბორანს – ცას გიბოლავს (18–19). ამიტომ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი კალმოსა-

ნის უსუსურ მოსაზრებებს, კონტექსტს რომ არ ითვალის-ნინებს.

უნდა ითქვას სხვა რამეც:

ჩვეულებრივ გამოუცდელი მოზაირენი რითმის ექსპლოატაციას ღამობენ მაშინ, როცა საჭიროა განცდის, განწყობილების ექსპლოატაცია; არის ასეთი ვითარებაც: ჯერ რიტმს ამოარჩევენ და მერე ეძებენ განწყობას; არა-და, უნდა მოხდეს პირიქით, განწყობილებამ უნდა მოძებნოს რიტმი, რითმა და შესაბამისი ინტონაციაც გაჩნდება. ნიგნში ამგვარი წინააღმდეგობის ორიოდ ნიმუში კი შეინიშნება, მაგრამ სხვა შემთხვევებში ეგ ჩავარდნა არა ჩანს. საამრიგო მაგალითად „განთიადი“ მესახება, სადაც სახეობრივი ძიებები ხელს როდი უშლის მარტივი, ოღონდ ნაზი გრძნობის აღმოცენებას:

მინდორი ნამით გადაითრთვილა,  
რა ღამაზია მამულის დილა!  
აქ შთაგონება მზემ დაიმონა,  
გრგვინავს მდინარე განახლები,  
ნაპირზე ნისლმა მე მომაგონა  
შენი ფაფუკი, ნაზი ხელები (19).

ამის მსგავსი მაგალითები შეგვეძლო მოგვეხმო „ივნისის დილიდან“ (20), თუმცა ჩვენ მაინც საინტერესო სახეებით განწყობილ ოთხტაეპედს მივანიჭეთ უპირატესობა:

ცას ხელზე უჭერს ღრუბლის ხუნდები,  
ინწებიან თეთრი აფრები;  
თითქოს ოცნებას მოვაგონდები,  
თითქოს ბავშვობას მოვენატრები (52).

დიდებული პოეტის ვახტანგ ხარჩილავასადმი მიძღვნა-ში სიტყვის ფალავანმა საინტერესო ექსპერიმენტს მიმართა და, ვგონებ, შედეგანადაც, აქ სტროფის ქართულად აწყობილ პირველ კარედს ენაცვლება მეორე, მეგრულად გამართული ნამდვილად მაღალპოეტური ფოლკლორული ტაეპები. აქედან ჩვენ უფრო გვესულგულა ეგ სტროფი:

ბედმა მაინც ვერ დაგრიხა,  
ელავს, როგორც ცისარტყელა,  
საქორთუო, სკანი დიხა,  
სკანი ჩილამურის ხელა (184).

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აქვს დაკვირვებული, მახვილი თვალი, რის გამოც ახერხებს დასახსომებელი ცალკეული სახე-ხატის შექმნას. ამას კი ერთგვარი ოსტატობა სჭირდება. მართალია, მკითხველს ისინი დიხხაც ამხსოვრდება, ოღონდ ამაზე შეჩერება არ ივარგებს, რადგან პოეზია არის არა ცალკეული მარჯვე გამონათქვამი (ამას თამადაც მოახერხებს), არამედ ამგვარ ტაეპთა და სტროფთა ჰარმონიული შერწყმა და მთლიან ლექსად ჩამოყალიბება. მაინც მოვიყვანოთ ჩემგნით მონონებული ტაეპები: „წევს საკაცეზე ეპოქა ავი“ (იმ საუკუნეში ბევრი დაიჭრა და დასახიჩრდაო); „ციხეგოჯიდან მარტივლი მოჩანს – ოდიშის მთების რუხი საყურე;“ „ჯალათის ნაცვლად რცხვენია ტყვიას“ (189). ამავე ლექსში ჩვენი კალმოსანი ტიცინანს ასე მიმართავს: „მე თანავუგრძნობ ნითელ მიხაკებს, რომ არ ეღირსათ შენი სალილე“.

მართალია, ავტორი ჭეშმარიტებას ღაღადებს ლექსებში „აირია მონასტერი“ (82) და „მედროვე ფარისევლებს“ (156), ოღონდ ეს ვერ დაგვამშვიდებს, რადგან ამის მიღწევა ვერაფერი ბედენაა, რადგან პოეზიაში სიმართლეს არსებობის უფლებას ანიჭებს არა რეალობა, არამედ მაღალმხატვრული გამოსახვა.

კრებულში ბევრია იმედის ჩამსახველი სახე, სტროფი, ცალკეული ფიგურა. სწორედ ამისი ნიმუშია ეს ტაეპები:

რა სიშორიდან მოსულა მტკვარი,  
რა სიმაღლეზე ასულან მთები!  
ჩვენს ნიჭიერ ავტორს ვუსურვებთ:

კიდევ უფრო მეტად დაეხვეწოს თავისი ოსტატობა, უფრო მტკიცედ დაეჭიროს საკუთარი ხედვა და სტილი, მეტი ჰარმონია დაემყარებინოს სათქმელსა და ფორმას შორის, რათა ყოველივე ამის გამოისობით გვენახოს მის პოეზიაში დიდ „სიმაღლეზე ასული მთები“.

## გაკში ღაყრაიუბს

## მერაბ მეტრეველი

რა მდიდარია პატარა საქართველო თანმდევი უკვდავი სულებით. კიდევ ერთხელ ვუბრუნდები ქართული გენის საოცარ გამობრწყინებას, კაცს ჭეშმარიტად საუკუნეთა მამშვენებელს, ბატონ მერაბ ბერძენიშვილს.

სიკვდილმა მიიტაცა ის, რაც შეძლო, დუმს დამაშვრალი მარჯვენა დიდოსტატისა, მაგრამ მის ქმნილებებთან უძღურია დროის მსახვრალი ხელი ისინი ძარღვიანად შეზრდიან ქართულ მინას და სულს უმაგრებენ და

უმზიანებენ ჯიშსა და ჯილაგს.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭმა პირველად ვიხილე ბატონი მერაბი ჩემს მშობლებთან, მის კოლეგებთან მარგარიტა და შოთა მეტრეველებთან ჩვენს სამხატვრო სახელოსნოში მობრძანებული. ბავშვობიდან უცხო არ იყო ჩემთვის ჩვენს ოჯახში რჩეულ ადამიანთა სტუმრობა, მაგრამ ამოუცნობი ინტუიციით ვიგრძენი, რომ ეს ადამიანი შემდგომში დიდ ადგილს დაიკავებდა ჩემს გულსა და ცნობიერებაში. გაფართოებული თვლებით შევცქეროდი და ვუსმენდი ამ საოცარი ხიბლის მქონე ადამიანს და ერთი ეგება გულუბრყვილო ფიქრი ამეკვიატა – ალბათ ასეთი იქნებოდა რუსთაველი.

გადიოდა წლები, ჩემი ცხოვრების გზად მოქანდაკეობა ვირჩიე და ამ არჩევანმა კიდევ არაერთგზის შემახვედრა ბატონ მერაბთან, ვით მოძღვართან, ეს შეხვედრები ჩემთვის ერთი, აკადემია იყო. განცდა კი მის წინაშე მდგომს იგივე მეუფლებოდა, ალბათ ასეთი იქნებოდა რუსთაველი.

განსაკუთრებული იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ჩემი ქანდაკება აკვნის გამთლელი მოხუცი, რომელიც თბილისში უნდა დაედგათ და ეს საკითხი ყველა დონეზე მონონებული და გადაწყვეტილი იყო, ქანდაკების ესკიზი შეგირდის მოკრძალებით ბატონ მერაბს ვაჩვენე, მან ნამუშევარი შეათვალაიერა და მითხრა:

„ეს მოხუცი ბიბლიური უნდა იყოსო“.

სწორედ ეს ერთი სიტყვა „ბიბლიური“ იქცა საფუძვლად, რომ აკვნის გამთლელი მოხუცი ქართველის მოძღვრად გარდასახულიყო და აგერ მეოთხედი საუკუნეა, ასე აგრძელებს სიცოცხლეს.

გარდაუხდელი მადლობით და მერამდენედ გაგლეჯილი გულით გემშვიდობებით, ბატონო მერაბ, და მაინც, გამუდმებით გულში მდულარებს სულმნათი მერაბ კოსტავას სიტყვები, რომლითაც მან თავის ვაჟს მიმართა! „კიდევ კარგი, რომ, ირაკლი, ჩემთვის გარდაცვლილები არ არსებობენ“.

„აზნაურის ნიჟარის“ „ახალი“

რევაზ მიშველაძე

თურქეთსა თუ სპარსეთში, რუსეთსა თუ აზერბაიჯანში, სომხეთსა თუ ჩრდილოკავკასიაში პატარა საქართველოებად ჯერ კიდევ ფეთქავენ ქართული მიწები. არაერთგან ამ ქართულ მიწებზე დამპყრობელთა ენერგიული ზრუნვით ქართველები აღარ ცხოვრობენ, მხოლოდ ისტორიული ძეგლები – ეკლესიები და ციხე-კოშკები დგანან ერთ დროს ძლიერი, ერთიანი საქართველოს უტყვე მონაშენებად, ხოლო იქ, სადაც იღბლისა თუ სასწაულის წყალობით ქართველები ჯერ კიდევ შემორჩნენ, უღმობელი უამთასველა თავისას აკეთებს, მათში ნელ-ნელა ინავლება ქართული სული, ქართული ფენომენი.


რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო კეთილშობილური საქმე, რომ ისტორიის მუხტობის გამო საქართველოს საზღვრის მიღმა დარჩენილ ქართველს საბუთიანი მსჯელობით დაუმტკიცო, რომ ის ძირძველი ქართველია და ამით არა მარტო მოაგონოს მისი ერთ დროს მტკიცე ეროვნულობა, არამედ შეახსენოს მისი ისტორიული ვალი ამჟამად დაფლეთილ-განწინილი სამშობლოს წინაშე. სწორედ ასეთ საქმეს შესწივდება სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი და შესაშური წარმატებით ართმევს თავს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ქუთაისში ცხოვრობს. იგი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია და ფართო დიაპაზონის მკვლევარი გახლავთ.

ათეული წლების განმავლობაში ავთანდილ ნიკოლეიშვილმა წარმატებით იმუშავა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისა და სისტემატიზაციის რთულ პრობლემებზე. შექმნა არაერთი სახელმძღვანელო უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, მის კვალზე მოსულ მეცნიერთათვის საიმედო საიმედო გზამკვლევის რომ წარმოადგენს და წარმატებით ისწავლება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ამ ბოლო დროს კი მეცნიერის ინტერესების სფერო გაცდა საქართველოს საზღვრებს და მკითხველის თაროზე გაჩნდა ჩვენს ფილოლოგიურ მეცნიერებაში ნაკლებად შესწავლილ საკითხებზე ფუნდამენტური შრომები, კერძოდ ქართულ-თურქული, ქართულ-ებრაული და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ის თანამედროვე შრომები, ამ ქვეყნებში ქართველ ლიტერატორთა შემოქმედების მკითხველისთვის გაცნობასაც და იმ უაღრესად საინტერესო ისტორიულ ნიაღვრელებსაც რომ ისახავს მიზნად, ნათეს რომ ჰყენს დავისწყობის მტვრით დაფარულ იმ შავბნელ წარსულს, რომლის ძალითაც ქართველები მათთვის უცხო იმპერიების უნებლიე მოქალაქეებად იქცნენ.

და აი, ჩემს წინ დევს ავთანდილ ნიკოლეიშვილის ახალი, მშვენიერი წიგნი „ლაზეთი“ (გამომცემლობა „მაცნე“, რედაქტორი რამაზ სურმაიძე, 2019).

უპირველესი ღირსება ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნაშრომისა ის გახლავთ, რომ ავტორი ეყრდნობა როგორც ქართველ, ისე ბიზანტიელ, თურქ და ლაზ ავტორთა ნაწერებს და ერთხელ და სამუდამოდ საცნაურს ხდის დღემდე საკამათო სურათს იმის შესახებ, თუ სად ცხოვრობდნენ ლაზნი, როგორი იყო მათი მიმართება კოლხურ (იგივე ქართულ)



სახელმწიფოსთან და რა თვისებები გამოარჩევდა ლაზებს თავიანთი ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად. ავტორი წერს: „ბიზანტიელ ავტორთა (პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე, აგათია სქოლასტიკოსი...) ნაწერებშია არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ლაზები და კოლხები ეთნიკურად ერთი და იგივე ხალხია. მაგალითად, აგათია სქოლასტიკოსის (VII ს.) თქმით, „ლაზები ძლიერ და მამაც ტომს წარმოადგენენ და ამაცობენ კოლხთა ძველი სახელით“.

ავთანდილ ნიკოლეიშვილს სარეცენზიო წიგნში მოაქვს ისტორიკოს ნათე ბანაშის სიტყვები: „თანამედროვე თურქეთში ქართველები (გურჯები და ლაზები) სახლობენ თავიანთ ეთნიკურ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ვილაიეტებს: ართვინი, რიზე, ტრაპიზონი, გიუმუშჰანე, გირესუნი, ორდუ, სამსუნი, ყარსის ვილაიეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი რაიონები, ერზერუმის და ერზინჯანის გარკვეულ ნაწილებს და სხვა. ეს ზუსტად ის ტერიტორიაა, სადაც თურქი ისტორიკოსის დოღან ავჯიოლლუს სიტყვებით რომ ვთქვათ, „XI საუკუნის დასაწყისში თურქმენების (სელჯუკების) მოსვლამდე წარმოადგენდა ქართველები და ლაზები, რომელთა ენაზეც ლაპარაკობდა მოსახლეობის უმრავლესობა. ტრაპიზონის ვილაიეთი დასახლებული იყო ლაზებით ანუ ჭანებით. ამ ოლქების მოსახლეობის ძირითადი უმრავლესობა ბოლო ხანებამდე ქართველებისგან რომ შედგებოდა, მოწმდება როგორც თურქული, ისე რუსული, ევროპული და სხვა წყაროებით („ბანაში“, 1959, 16).

„ლაზეთის“ ავტორი იმონმებს ავტორიტეტულ ქართულ მოღვაწეთა (პავლე ინგოროყვა, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, დავით კლდიაშვილი, იოსებ ყიფშიძე, ივანე არჯევანიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, იასე რაჭველი, თედო სახოკია) თხზულებებს იმის ხაზგასასმელად, რომ მონინავე ქართველი ინტელიგენცია, მოყოლებული იოანე საბანიძიდან, არასოდეს არ ივინყებდა ლაზეთს და იგი საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა.

წიგნში დამტკიცებულია ისიც, რომ ლაზეთი, როგორც ქრისტიანული რეგიონი XVI საუკუნემდე ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა და სწორედ 1917 წელს, როცა აღდგენილ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, წმინდა სინოდმა დაუყოვნებლივ აღიარა ლაზეთის ეპარქია ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაში.

რებაში. ეს ყველაფერი კარგი, დიდებული ისტორიის გახსენება, მაგრამ ახლა? ახლა თუ სუნთქავს ლაზეთი ქართული სუნთქვით, ახლა თუ თვლიან ლაზები ქართველებად თავს და იმედის თვალით თუ უყურებენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან ადრე თუ გვიან დაბრუნების საქმეს? იკითხავს მკითხველი.

... და სწორედ ეს მეორე ნაწილია ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნში მართლაც რომ ორიგინალური და ახლებური.

სანამ უშუალოდ ლაზურ ფოლკლორს და თანამედროვე ლაზ მწერალთა შემოქმედებას შეეხებოდეს, ავთანდილ ნიკოლეიშვილი მიმოიხილავს XII და XX საუკუნის ქართველ მწერალთა იმ ნაწერებს, ლაზეთის თემას რომ შეეხება. ესენია: გიორგი მერჩულე, ილია ჭავჭავაძე, სულხან-საბა ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი, სოლომონ ასლანიშვილი-ბაგრატი, ივანე ჯავახიანი, გრიგოლ ორბელიანი, იონა მეუნარგია, გიორგი ერისთავი, ნიკო ბერძენიშვილი, ტიცვან ტაბიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, დავით კასრაძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ანა კალანდაძე, თამაზ ჩხენკელი, ოთარ ჩხეიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ აბაშიძე, ილო მოსაშვილი, ალიო ადამია, სიმონ ჩიქოვანი, ვარლამ ჟურული, ლადო მრეღაშვილი, ფრიდონ ხალვაში, გიორგი ლეონიძე, ანდრო ლომიძე, შოთა ნიშნაიანიძე, ნოდარ დუმბაძე, ლევან გოთუა, რამაზ სურმანიძე, ფარნა-ბექა ჩილაშვილი და სხვები.

ავთანდილ ნიკოლეიშვილს მეცნიერული სკურპულოზურობით მოუძიებია უცხოელ ავტორთა გამონათქვამები ლაზეთზე. ავტორი მხედველობიდან არ ტოვებს პროკოპი კესარიელს, მეცხრამეტე საუკუნის თურქ მოგზაურ ოსმან ბეის (იგი წერს: „ტრაპიზონი ლაზეთის სატახტო ქალაქს წარმოადგენს და მისი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სწორედ ლაზები შეადგენენ“), ლუდოვიკე გრანჯერიოსის, ევლია ჩელების, კარლ კობის, ვილიამ ჯიფორდ პალგრევის (იგი წერს: „ლაზები როგორც წარმოშობით, ისევე ენით, იგივე მეგრულენოვანნი არიან, რომლებიც რუსეთში (მაშინ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, რ. მ.) ცხოვრობენ“), დენის სესილ ჰილზის და სხვა უცხოელ ავტორთა გამონათქვამებს ლაზეთის შესახებ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის სამართლიან გულსწყრომას იწვევს ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყნის უბედური ბედის გამო დღეს თურქეთს ლაზეთის და ტაო-კლარჯეთის ჩათვლით მიტაცებული აქვს საქართველოს ძირძველი ტერიტორიის ორი მესამედი და ახლახან, 1992 წლის 30 ივლისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თურქულ მხარეს მსოფლიოს გასაგონად უცხადებს: თურქეთთან საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვსო. (ვინ გკითხავს შენ, პრეზიდენტო, ვვალდებულნი ვართ საქართველოს მაგივრად ლაპარაკს? იქნებ მოვიდეს სხვა დრო და დღის წესრიგში დადგეს ოდესმე საქართველოსთვის თავისი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება? რ. მ.).

„ლაზური სულის ლიტერატურული გამონაშუქი“ ჰქვია სარეცენზიო წიგნის ერთ თავს, რომელიც ლაზურ ფოლკლორს და წარსულის ლაზი ავტორების (აჰმედ მეშედ ქოროლი, ალი კურტოლი, პენიფე ჯეხაშის, ქიბარ ქიბარიშის, მემედი და მუსტაფას, ალი ფორიაშის და ტაირონ

ბაშოლის შემოქმედებას გვაცნობს, რომელთა დიდი ნაწილი ზეპირსიტყვიერების სახით მოვიდა ჩვენამდე.

თანამედროვე ლაზი მწერლებიდან ავთანდილ ნიკოლეიშვილი შედარებით ვრცლად განიხილავს სამი ავტორის – ხასან ჰელიმიშის, იაშა თანდილავას და უმით ისმანაღა-ოლლუს შემოქმედებას.

უმთავრესი პრობლემა, ლაზი მწერლების შემოქმედებისა, სწორედ რომ შუაზე გაჭრილი საქართველოს გამოთლიანების პრობლემა გახლავთ. რატკვივლია ხასან ჰელიმიშის ამ ლექსში:

„...ამგვარ ფიქრებში ლაზისტანის ქედებს ვუცქერი, ჩემს ბებერ სისხლს ხომ ამ ქედების სილაღე ახსოვს, მაგრამ რა? გაღმა ხიშტიანი დგას სერასკერი, გამოღმა ხიდზეც ხიშტიანი მოსინჯავს პასპორტს.“

ქარი აშარი ველარ ლუნავს ამაც ალვის ხეს, წლები მიდიან, გამკითხავი არ ჩანს არავინ,

მაგრამ იმედი დაცლილ სასმისს ისევ ამივსებს, სული მაქვს რადგან უტეხი და გაუზნარავი“.

ლაზური ფოლკლორისა და თანამედროვე ლაზი მწერლების შემოქმედების გულდასმით გასინჯვას მკვლევარი ამ დასკვნამდე მიჰყავს: „მიუხედავად იმისა, რომ ლაზების უდიდესი ნაწილი ამჟამად ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაა მოქცეული, მათი ეროვნული თვითშეგნება კვლავაც საერთო, ქართულია“.

\*\*\*

ავთანდილ ნიკოლეიშვილის ამ წიგნით ლაზეთის საქართველოობის უმთავრესი საქმე გაკეთებულია. უნიჭიერესმა მეცნიერმა ფაქტებზე დაყრდნობით და სკურპულოზური მეცნიერული კვლევით დაამტკიცა, რომ ლაზეთი უხსოვარი დროიდან მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებამდე (ანუ თურქების მიერ ტრაპიზონის სამეფოს და ლამის მთელი დასავლეთ საქართველოს ოკუპაციამდე) საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და ქართულ ეთნოსად წარმოიდგინებოდა. ავთანდილ ნიკოლეიშვილის თანმიმდევრული მტკიცებით ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოებაც, რომ თურქეთის შემოჭრამდე ლაზეთის 90 პროცენტი ქრისტიანული რელიგიის მატარებელი იყო და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის შემადგენელი ნაწილი გახლდათ.. ახლა უნდა მოვიდეს ჭკუადაძვდარი, ავტორიტეტული ენათმეცნიერი, რომელიც დაამტკიცებს, რომ მეგრული და ლაზური იდენტური ენებია და ლაზები თავიანთ ოჯახებში, სწორედ რომ მეგრულად ლაპარაკობენ. ამის შემდეგ კი ერთი ნაბიჯი იქნება იმის ამოხსნამდე, თუ რატომ ეძახდნენ შუასაუკუნეებიდან მოკიდებული ტრაპიზონს – „მეგრულ ქალაქს“ და თუ რატომ არის ასე ყელთამდე სავსე ბათუმიდან სამსუნამდე მთელი შავიზღვისპირა და შიდასახმელეთო რეგიონი ლაზურ-მეგრული ტოპონიმებითა და ისტორიული ძეგლებით.

... და ამ ფონზე განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს ლაზი მწერლების ხასან ჰელიმიშის, იაშა თანდილავას და უმით ისმანაღა-ოლლუს სევდიანი სტრიქონები დედა სამშობლოზე და უმითის გულამოყოლებული ამონაქვესი: „მა ლაზი ვორექ“ („მე ლაზი ვარ!“).



თენგიზ სვანიძე

გეგანის მამული!

აქეთ – სულ წვიმს, იქით – სულ დარია, ქვეყანა ვინ, ვინ არივ-დარია?! ვერ შევძელ ცით, მზე ამომეყვანა, ვინ მომკას, ვინ? \_ მზისფერი ეს ყანა?! გჯეროდეს ღვთის! \_ რაც უნდა რა მოხდეს, უტოვებ ვის \_ შენს ედემ-სამოთხეს?! ქართველო, სდექ! \_ გეძახის მამული! არ გასცდე ბექს, \_ გფარავდეს ამური!

მზე, ცა და მიწა

თითქოსდა სული ცამ მიიტაცა, ფიქრი ფიქრს მისდეს, როგორც წამი-წამს... დრო \_ კარუსელი ბრუნავს ვითარცა, \_ ცერზე შემდგარი ეს დედამიწა.

იმედს, ვარდივით გულზე ამოსულს, შემოღამების სევდა ანაზებს.

მინისტვის: ცაა \_ ქუდი ნამუსის და წუთისოფლის მზე – სილამაზე!

\*\*\*

გზას მივუყვები იღბლიანს თუ, გნებავთ, ნავსიანს, წლებს სიცოცხლისას ჩემსას ჯერაც მძიმე ასვია... ჯერ კვლავ მოველი ამოუხსნელ ზეციურ ნიშანს, \_ მხოლოდ წერტილი სუყველაფრის დასასრულს ნიშნავს!

\*\*\*

ამ ტყეებს, ამ ჭალებს, ამ მინდვრებს, იმ სერებს, ვუყურებ და ვისმენ წყაროს წყლის ხარხარს... წარსულში ხეტება თვალს ცრემლით მისველებს და ტკბილი ბავშვობის სიზმრებში მმარხავს.

რად დაგვტოვე

გეძახის მამული!

აქეთ – სულ წვიმს, იქით – სულ დარია, ქვეყანა ვინ, ვინ არივ-დარია?! ვერ შევძელ ცით,

მზე ამომეყვანა, ვინ მომკას, ვინ? \_ მზისფერი ეს ყანა?! გჯეროდეს ღვთის! \_ რაც უნდა რა მოხდეს, უტოვებ ვის \_ შენს ედემ-სამოთხეს?! ქართველო, სდექ! \_ გეძახის მამული! არ გასცდე ბექს, \_ გფარავდეს ამური!

მზე, ცა და მიწა

თითქოსდა სული ცამ მიიტაცა, ფიქრი ფიქრს მისდეს, როგორც წამი-წამს... დრო \_ კარუსელი ბრუნავს ვითარცა, \_ ცერზე შემდგარი ეს დედამიწა.

იმედს, ვარდივით გულზე ამოსულს, შემოღამების სევდა ანაზებს.

მინისტვის: ცაა \_ ქუდი ნამუსის და წუთისოფლის მზე – სილამაზე!

\*\*\*

გზას მივუყვები იღბლიანს თუ, გნებავთ, ნავსიანს, წლებს სიცოცხლისას ჩემსას ჯერაც მძიმე ასვია... ჯერ კვლავ მოველი ამოუხსნელ ზეციურ ნიშანს, \_ მხოლოდ წერტილი სუყველაფრის დასასრულს ნიშნავს!

\*\*\*

ამ ტყეებს, ამ ჭალებს, ამ მინდვრებს, იმ სერებს, ვუყურებ და ვისმენ წყაროს წყლის ხარხარს... წარსულში ხეტება თვალს ცრემლით მისველებს და ტკბილი ბავშვობის სიზმრებში მმარხავს.

რად დაგვტოვე

ტყუპისცალ ძმას ანტონს

ვგრძნობ სხეულში სულის მსხვერველს, \_ გული, გული გნატრობს... სად წახვედი ნაადრევად ანტონ, ანტონ, ანტონ! ცაში ხარ და... სად ხარ ნეტავ, დავალ, გეძებ, გნატრობ... ძმაო, ჩემო, ერთადერთავ, ანტონ, ანტონ, ანტონ! ლექსი ცრემლით ჩამოქნილი ვერ იფერებს სხვა ტონს... აქეთ კიდევ რამდენს ვივლი, შენთან მიწა, ანტონ! დრო უჩინო, უსწრაფესი ვინ ძერწოს და ხატოს?... სად ხარ, ბიჭო, ჩვენი ფესვი \_ ქუთაისი გნატრობს. წლებში გული განა მოლბა, \_ ცრემლი სახეს ალტობს... რად დამტოვე ასე ობლად, ტყუპისცალო, ანტონ!

\*

ძმაო, ჩემი მოსვლა ისე გიხაროდა, კედლებიც იცინოდნენ თითქოსდა სახლის... ახლა ჩურჩულს ვისმენ თითქოს ცივ ხაროდან და ვგავარ, უმოწყალოდ, გულს ტყვიადახლილს.

\*\*\*

აზრები ყველა კაცმა უნდა

ფოკუსში შეკრას, რომ ჩანდეს ეჭვი სად, რამდენად შეიცავს მართალს... ჩაფიქრებულნი ცას შევცქერით \_ მზის ფართო ეკრანს, ვით თითისტარზე, გულის ღერძზე ჟამი დარდს ართავს.

\*\*\*

მეუღლეს – ლუიზა ტაბიძეს

თეთრი არაგვი, ხოა ასე, შავ არაგვს ერთვის, სიკეთე შენი ოქროს თასით უნდა აირწყას... ძვირფასო, როცა ვტირი, ვტირი მე მხოლოდ შენთვის და სიხარულის წუთი რაა, გადამავიწყა! \* ობოლი იყავ, მეც დამაობლე, დავეხეტები ფიქრივით მარტო... და ვუხმობ ლექსებს სევდის მგალობლებს და უსასრულოდ გეძებ და გნატრობ!

\*

განსაცდელთან თავად მიხვალ, \_ მოგონება ტკივილს ბადებს... ო, რა ძლიერ მყვარებიხარ, ჩემი ცოდვა სიკვდილს ადევს!@

\*

თურმე ვყოფილვარ შენი ტრფობის ტყვე, \_ არ მიფიქრია ასე აროდეს... მოვიდა შენი დაბადების დღე და შენს გარეშე რა მიხაროდეს?!

\*

სიყვარულს გულიდან ვინ ამოშლის, ვისთვის ჩემი დარდი მზის ქარია... რადგან მეგულეები ცივ საწოლში, აღარც გათენება მიხარია!

მონატრება

გუგული სვანაძეს სად ხარ, ჩემო ბიძაშვილო, საყვარელო გუგული... სული ვარდად ვერ გაშლილა, დარდით გადაბუგული. რა ძალიან მომენატრე, ფიქრიდან ვერ გიშორებ... ვარდისფერი ხარ სინათლე და ლურჯი ცის სიშორე. უღურტულეებენ ჩიტებივით დღენი ჩვენი ბავშვობის... სულს მიაგებს ცრემლთა მძივი, მთვარის შუქზე ნაშობი. ცისკენ გაქცეული თვალი, სევდა განმარტოების... მახსენდება, \_ სოფლის მთვარე, წყნარი საღამოები, დილა, გზებზე ნახირი და ტყე, სამოდოს ველები... ის დღეები გაგვიფრინდა, ვეღარ მოვეფერები. თ ნეტავი რას მოასწავებს გულისწყვეტა ამგვარი?... ეს ზამთარიც მიაქვს ყვავებს უსიამო ყრანტალით.

სად ხარ, ჩემო ბიძაშვილი?!

\*\*\*

ხდება ხშირად, გარდაცვლილს ვაქებთ გაუთავებლად, ყველაფერი ამგვარი სუყოველთვის მიკვირდა: თანაგრძნობის სიმები ცოცხალთან რომ გაგვება,

ალბათ, გადაინვედა პაემანი სიკვდილთან!

მაღე შენი მზეც არახრახლება

თეონა ნულაიას

ვინ იყო, ვინ შენს სილამაზეს რომ არ ემონა, გულთვალმზიანო, მშვენიერო, თეო, თეონა?! მაღე შენი მზეც, სხივოსანი, აჩახჩახდება, ყველა სურვილი სანუკვარი შენი ახდება. აუ, რამდენი სანეტარო წუთები გელის, გასიზმრებული, გულწარმტანი, სიამის მგვრელი. ხარ უნაზესი, თვალმწყაზარი და უფრო მეტიც, არ მიგატოვებს არასოდეს უფალი ღმერთი!

მეგობარი მღვდელი

რასაც ამბობ, გისმენს, გიგებს, იმსახურებ? \_ კოშკებს გიგებს... რისი თქმაც სურს, უხმოდ გიგებს, ნარდს თამაშობ \_ გჯობნის, გიგებს! მოკვდები და, უფრო მეტიც, ვით ქრისტიანს, წესს (ა)გიგებს. ვენუკვი ყოვლის გამრიგეს, მახეს არასოდეს გიგებს! ვუხმობ \_ ზოგი ვერც (გა)გიგებს, \_ დიდ შოთებს და პანა გიგებს!

სიშორის ტკივილი

უნილო ძმას – ავთანდილ კისკვიძეს

შენს თავს სიკვდილმა როგორ გამყაროს? \_ ტკივილი გულში ვეღარ ჩავტიე... მე გულზე მიწა ვერ მოგაყარე, ძმაო, გამიგებ და მაპატიებ! გული დაგქონდა სავსე სიკეთით \_ ღმერთს საყვედური როგორ შევკადრო?... ერთურთის გვექონდა მუდამ იმედი, ცალად დამტოვე, ცალად... ეჰ, რა დროს! მგონია, თითქოს მაცვეს ასჯერ ჯვარს, შენს წასვლის ტკივილს ვეღარ ვიქარვებ და ჩვენი ძმობის ღვინით სავსე ჯამს სულმოუთქმელად დავაპირქვავებ. შავი ღრუბლები ცად იზმორება \_ სიკვდილიც წამით არ დაიმორცხვებს... მიჰქრიან წლები, როგორც ქორები და მიაქვთ ჩვენი წილი სიცოცხლე!


რა დაანყნარებს ამ გულს, აწი რა? \_ გვდევნენ სიკვდილის დღენი – მსტორები... შენ ჩემი სულის იქეც ნაწილად და სიკვდილშიაც მემახსოვრები! გულმა აიგო ფიქრის კარავი, \_ ტკბილ მოგონებებს შემომისევენ და ჩვენი ძმობაც შეუბღალავი კვლავ გაგრძელდება ცაში ისევე!

დღისა და ღამის კარუსელი

მწვანე სამოსი ჩაუცვამთ თუთებს და სული ელტვის იისფერ ტატნობს... სურვილს იმედის კელაპტარს ვუნთებ და შორეულ ცის სიმაღლეს ვნატრობ. მერე დადგება ღამე ცისფერი, \_ შემვედრებელი განწირულ წამის და ციურ ცრემლის დასდის სისველე იდუმალ ამბორს დღისა და ღამის.

# სამშვილდის საიდუმლო

## ნოდარ შანიძე



მ დ ი ნ ა რ ე ქციის თვალუწვდენელმა ხეობამ სახელად სიღრმის და ციცაბოობის გამო ხრამი დაიმკვიდრაო - ტყუილია! ეს მდინარე ორსახელაა. მაგრამ, არა "ქცია" ან "ხრამი", არამედ - "ქიცია" და "ხარამი". აი ქურუმთა პირიდან გამოსული სიტყვები! ამ მდინარის სახელწოდებაში გემატრია ნავიკითხე.

განსაცვიფრებელია სიტყვის შემოქმედის მიზანდასახულობის სიდიადე. აქ ვფიქრობ, რიცხვთა გასაღები, მართლაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ჩადებული. ვნახოთ, რა რაოდენობებს ასაჩინოებს, როგორი რიცხვული კონსტრუქციით არის გადმოცემული ეს მახვილგონივრული შიფრი. ქიცია ვიკვლიოთ!

არცერთი არ არის ასო - ინი. ორთავ - იოტაა. თვითოეულ გრაფიკულ ნიშანს თავისი საკუთარი გეომეტრიული ადგილი აქვს. ქანი - ქვეყანა გახლავთ. ქანი ასოთა შორის ავანპოსტს წარმოადგენს. ქანს თავდაპირველად ქვეყნის მნიშვნელობა ჰქონდა. მერე ქართლისა დაბოლოს ქრისტესი. იოტა - ახალი მთვარისაა. ცანი ქვესკნელური მთვარის იდეოგრამაა. ხოლო, ანი - სავსესი. ის საშუალოდ კულმინაციაცაა.

სიტყვა ქიციაში ჯერ ქვეყანა დავძებნოთ!

მივაქციოთ ყურადღება გრაფიკულ ნიშანთა განლაგებას. მარცხვივ მალა ახალი მთვარეა, დაბლა კი სიღერული თვის მთოვარე. ასეთი თვე 29 დღეს ითვლის. ცანი 29 ე ასოა. მარჯვნივ დაბლა ისევ ახალი მანგია და დედამიწის თანამგზავრი სავსეობისკენაა აღმავალი. ამგვარი თვე 30 დღეს იანგარიშებს. ღამის მნათობის კალენდარული წელიწადიც ხომ ასეა: 29 - 30; 29 - 30.

მოდით, იოტას რიცხვი (15) დავშალოთ და შევაჯამოთ. 1 + 5 = 6 ს. აღმაცერად მარჯვნიდან მარცხნივ ორი იოტაა. ორთავეგან 6 დაგვირჩება. 6 + 6 = 12 ს. წელიწადში 12 თვეა. ანი ღამის 12 საათს ასაჩინოებს. მოსალოდნელია მინიშნებაც იკითხება: ჟამი ღამის 12 საათის მერე აღირიცხებაო. ახლა მათ შუა არსებული ქანიც შემადგენელ ნაწილებად დავყოთ. ქანის რაოდენობა 24 ია. 2 + 4 = 6 ს. შევაჯამოთ სამივე და 18 ს მივიღებთ.

მარცხნიდან მარჯვნივ ამ ირიბ ხაზზე ცანიც დავანაწევროთ. ცანის რიცხვი 29 არის, 2 + 9 = 11 ს. მალა ანის რაოდენობა 1 ია, ხოლო შუაში არსებული დანაწილებული ქანის რიცხვი 6 ია. შენაჯამი აქაც 18 შეგროვდება. მე 18 ე ასოთი ჟამი მჟღავნდება და 18 წელი (საროსული დრო) გვეუწყება. 18 საროსული ხანია როგორც მზის, ასევე მთვარისათვის.

შევკრიბოთ 18 ორთავე დიაგონალისა. 18 + 18 = 36 ს. თუ 5 ს (პალეოგრაფიულ რაოდენობას) დავუმატებთ, 365 ი შეიკრიბება. წელიწადში 365 დღეა.

სხვაგვარადაც ვნახოთ. (თანმიმდევრული

სათვალავით) ქანი = 300. არამომიჯნავე კუთხეებში ორი ოცდაათის კრებსი 60 გახდება. პალეოგრაფიულ ერთეულთა რაოდენობა (5) დავამატოთ და 365 - წელიწადის ხანგრძლივობა გამოვა.

ვინცობაა ორთავ დიაგონალზე (ქანის გამოკლებით) რიცხვების ჯამს გამოვიყვანოთ: 29 + 1 = 30 და 15 + 15 = 30. ეს კალენდარული თვე იქნება. არის სხვა გზაც: თუკი დაშლილ წყვილებს წრეზე გავყვებით: 1 + 5 + 1 + 2 + 9 + 1 + 5 + 2 + 4 = 30 ს (30 დღე არის კალენდარული თვე)

ვერტიკალზე მარცხნივ: 15 + 29 = 44  
მეორე შვეულზე 1 + 15 = 16 44 + 16 = 60.  
საათში 60 წუთია.

ქვეყანა ოთხი მთოვართაა გარშემორტყმული. შემთხვევითია ასეთი განლაგება?

ოთხივე მთვარე ღამის 12 საათს გამოსახავს. 4 X 12 = 48 ს. + ქანის - (24) = 72 ს - პრეცესია!

ჩვენ სიტყვა ქიციაში ქვეყანა ნავიკითხეთ, ახლა ქართლი დავძებნოთ!

პირველ დიაგონალზე 29 + 1 + 24 = 54; მეორე ირიბობაზე 15 + 15 + 24 = 54; ეს სამკეცი საროსია, მაგრამ, ვინძლო ნოლსაც დავურთავთ, ქართული დასაბამი შეგვიჯამდება - 540 წელი.

მიმდევრობითი სათვალავადითაც ავთვალთ. მარჯვნიდან მარცხნივ: 120 + 300 + 120 = 540 ს. 540 როგორც ვიცით ქართული დასაბამია, ხოლო 54 მთვარის სამკეცი საროსია.

თუ რომ ყველა რაოდენობას შუა გავყოფთ და

5 15

1 24

9 29

1 1

5 15

არამომიჯნავე კუთხეებს ქანის გაუყოფელ რიცხვის ჩათვლით შევკრებთ, ორთავ დიაგონალზე 12 მოგროვდება. ეს იქნება 12 და 12 გეზად; 2 + 9 = 11 და + 1 = 12 ს და 1 + 5 + 1 + 5 = 12. ამას 24 (ქანის დაყოფილი რიცხვი დაერთვის) და ჩვენ აქ 36 ს დავაუწვებთ. ანბანში 36 ასონიშანია და ამასთან აქ ფარნავაზის ქმედებაც იკითხება.

ცანი ქართულ ანბანურ ჯგუფის ბოლო შვიდეულის დასაწყისია და ლოგოგრამად ამ შვიდეულს სწორედ ეს ასო ნიშანი ადევს.

ახლა ყველგან 43 ჩავწეროთ - მზის საროსის რაოდენობა და შევაჯამოთ: 15 + 43 = 58; 1 + 43 = 44; 24 + 43 = 67; 29 + 43 = 72; 15 + 43 = 58. 58 + 44 + 67 + 72 + 58 = 366. ჯამი 366 ია - წელიწადის ხანგრძლივობა მზით ნუთუ იულიუსამდე იცოდნენ ჩვენში?

მარჯვნიდან მარცხნივ: 435 + 300 + 1 = 736. არ ვიცი რაზედ მიგვანიშნებს ეს რიცხვი (736) მაგრამ, ვინცობაა 736 - 540 = 196 მივიღებთ. გადავიყვანოთ ეს რაოდენობები კვლავ ასოებად. „რჟე“ რას უნდა ნიშნავდეს? რაე 19 ია. ჟანი 18 ია. ორივე საროსის რიცხვია. ჟანი ძველია, რაე უფრო გვიანდელია, მხოლოდ, უკეთუ ერთმანეთს მივუმატებთ და „ვინ“ ის ციფრს 6 საც დავურთავთ, 43 შეიქმნება. ეს მზის საროსია.

საით მოძრაობენ ასოები? ქანი უძრავი ასო ნიშანია, თუმცაღა, იგი ოთხივე მხრივ გადაად-

გილდება. იოტა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლდება. ცანი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ანი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, იოტა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. : დონი; ანი; ანი; დონი: მზე - მთვარე; მთვარე - მზე.

ჩვენ არ ვდაობთ, მხოლოდ ვამტკიცებთ, რამეთუ, არღარა დაფარულად ითქმოდეს ქართლსა შინა სიტყვა ესე.

გვაქვს ქართველებს გამონათქვამი: ქიციც იცის და ქიცმაცუნიცო. თქმული პატარა რედაქციას საჭიროებს, რაც რიცხვითაც დასტურდება: ქურუმები ალბათ ასე წარმოთქვამდნენ: ქიციც იცის და ქიცმანცანიცო, ანუ, ამ ადამიანისთვის არა თუ ეს კონკრეტული საქმე, სამყაროს აგებულებაა საცნაურიო.

არის მარტივლის რაიონში მალალმთიანი სოფელი კინია. ქიცია ხომ არ უნდა ნავიკითხოთ იმ სახელწოდებაში?

მივაკვლიე ქვეყანას, ამოვიცანი ქართლი, მაგრამ, აქ მე ვერსად ვპოე ქრისტე. ვერ დავეთანხმები ჩემს მეგობარსა და მასწავლებელს თამაზ ჩხენკელს, და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ანბანი ქრისტიანული კულტურის ნაყოფი არ არის, რახან გაჯერებულია წარმართული გადმონაშთების თემატიკით.

ქრისტიანობის იქეთ გავიხედეთ. მოდით ახლა აქეთ გამოვიხედოთ!

ისტორიკოსები გვეუბნებიან, რუსუდან დედოფლის სიცოცხლის ბოლო წლების შესახებ არაფერია ცნობილი. სავარაუდოდ დაკრძალული უნდა იყოს გელათშიო.


ქციის თავზე პირღებულება. იქ, პირღებულში, სუსტრუქციით შექმნილ ბაქანზე ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია 12 - 13 საუკუნეებისა, რომლის კედელზეც წერია: წმინდაო ღვთისმშობელო, შეინყალე დემეტრე, და იქვე: წმინდაი დედოფალთ დედოფალი რუსუდანი ასუფევე და შეუნდვენ ღმერთმან"-ო. მამაშვილია? ვინ უნდა იყოს რუსუდანი? იმ ასწლეულში 3 რუსუდანი დავთვალე და არცერთი მათგანი არ არის დაკავშირებული სამშვილდესთან, გარდა ამ ერთისა.

რატომ შეარჩია რუსუდან დედოფალმა სამშვილდე თავის სამკვიდროდ და განსასვენებლად? რად დასახლდა ის მაინც და მაინც სამშვილდეში? ამ პიროვნებისადმი შავ - თეთრი მიდგომა გამორიცხებულია. საქმე ისაა, იქ ურთულესი ჰემატრიაა...შესაძლებელია ენერგეტიკაც?!

სძალყოფილი შამირამეთის დიდთა სულთანთა და დედოფალი ყოვლისა ხვარასნელთა უფლებისა, ყოვლითა სიბრძნითა გამეცნიერებული, ალბათ სუფისტ ბერებისა და შეიხების საიდუმლო ცოდნას ეზიარა - ოკულტურ პრაქტიკას. რახან, სამეფო კარზე რუსუდანის ასეთი განუზომელი უფლებები არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ მის ბაგრატიონთა სამეფო კუთვნილებით განპირობებული. ჩანს დედოფალი გამორჩეული ნიჭითაც სარგებლობდა.

რუსუდანიდან დაახლოებით 250 წლის შემდეგ იგივე ცოდნას, ამულეტებს, თალისმანებსა და წმინდა წიგნებს რკინის კოჭლი წამოჰკრეფს.

ნუ ეძებთ თამარისა და სოსლანის საფლავებს. მათ უკან წარბებ მოქუშულ, იმათ შემრისხავ და შემჩვენებელ (ვაი თუ რუსთველისაც) რუსუდანს ვხედავ, უძლიერეს გარდანქემანს თავის დროებისა. აკი გვეუბნება შოთა - „გრძნეულეა იცის კარგა“ო. არქეოლოგია ბევრ კითხვას მოჰფენს ნათელს. გათხარეთ, შეისწავლეთ რუსუდანის საფლავი!



შოთა ლავაშვილი – 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი შემოქმედი - პოეტი და მხატვარი შოთა ეზვიას ძე ლეჟავა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ბატონო შოთა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან და წარმატებით დასძლია კიდევც ათწლიანი მემორიალის განმავლობაში ერთგულად და მუხლიწაუხრელად ემსახურება მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს.

უპირველესად, მართლაც რომ გამორჩეული ხელნერის მქონე მხატვარი ბრძანდებით, ისეთი მხატვარი, რომელიც ურთულეს საქმეს შეეჭირა და წარმატებით დასძლია კიდევც – თანამედროვე ქართულ მხატვრობაში საკუთარი ნიში გამოიხატა. ეს კი გამორჩეულობის, თავისთავადობის აღიარებას ნიშნავს და კიდევ იმას, რომ XX-XXI საუკუნეების დიდი მხატვრობის ორგანოში ნაწილი ბრძანდებით. ამის დასტურია ის გარემოებაც, რომ თქვენი ნახატები მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში გამოიფინა; ისიც, რომ მათგან საუკეთესოები დაცულია ევროპის, ამერიკის, აზიის მუზეუმებში...

როგორ არ გვიხაროდეს, რომ ასეთი დონის მხატვარი ქართულ ლექსსაც შეეჭირა და შეეცადათ პოეზიის ენიტაც გამოგეხატათ თქვენი სათქმელი.

თქვენი პირველი პოეტური კრებული „აღიარება“ 1993 წელს იხილა ქართველმა მკითხველმა.

ამ კრებულს ძალზე გაუმართლა, რომ მისი რედაქტორი მორის ფოცხიშვილი იყო, დიდი ქართველი პოეტი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა თქვენს თვითდამკვიდრებაში. თქვენი პოეტური კრებულები „სულის სანთელი“, „ჩემი მეგზური სანთელი“, „საქართველოს პოეზიის ვეფხის ტყავე ფარავდეს“, „ჩემო ხობო-თბილისო“ დასტურია იმისა, თუ როგორ გიყვართ სამშობლო, მშობელი ერი, როგორ იღვწით, რომ თანამემამულეებს შეახსენოთ ისეთი ცნებები, როგორცაა სიყვარული, ერთგულება, ქედუხრობობა, თავგანწირვის უნარი...

თქვენი ლექსები თარგმნილია რუსულ ენაზე. დიდხანს ენოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და ფერწერის ხელოვნების საიდუმლოებებს აზიარებდით ახალგაზრდებს. ჩვენო შოთა!

გულით გვახარებს, რომ წლების სიმრავლე ვერაფერს გაკლებს, რომ ძველებური ენერჯითა და შემართებით ემსახურებით საყვარელ საქმეს. კიდევ ერთხელ გულითადად გლოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას და ერთგულ თანამოქალაქს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საუკეთესო ოცნებების განხორციელებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ტიკა პალაშვილი – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ტიკა პალაშვილის ასული შალაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ქალბატონო ტიკა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდხე დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, ქუთაისელ მწერალთა გუნდის მეტად კოლორიტულ და თავისთავად წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში \_ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი დებიუტი პოეზიის საუფლოში 1966 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ქუთაისში“ პირველი ლექსი „გელათი“ გამოაქვეყნეთ.

მას შემდეგ არაერთი ჩინებული პოეტური კრებით წარსდევით გემოვნებიანი და მომთხროვი ქართველი მკითხველის წინაშე. „მკათათვე“, „ქარის წელიწადი“, „მასწავლეთ მინაზე სიარული“, „წერილები მონატრებიდან“, „ვერსისაჟი“, „აკვარიუმი“, „შობიდან აღდგომამდე“ \_ აი, იმ წიგნთა არასრული სია, რომლებშიც დაიგნა თქვენმა პოეტურმა ენერჯამ, მაძიებელმა სულმა, ქართველი მანდილოსნისთვის ჩვეულმა კდემამოსილებამ, რომლის მიღაც ვნებები, მძაფრი და დაუოკებელი ვნებები ბობოქრობს...

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი პირგამეხებული შექყურებს, თუ როგორ მიაქვს წუთისოფლის მდინარეს მისი დალილი და ნავეკვი სხეული, გოდებს ბაბილონის ჩაშლილი გოდოლის გამო, ხედავს, თუ როგორ პატარავდება დედამინა მისი საბრალო დედასავით, განამებულს ნაცრისფერი და უღიმღამო დელებით, უკან მშობლიური კერისკენ მიბრუნდება სურს, რაათა ტახტზე გაშლილი ძველებურ ფარდაზე ნამოწვეს და თავი დედის კალთაზე დაასვენოს. მბრუნებ ბორბალში მოხვედრილი ციყვივით დარბის, დარბის და მაინც ერთ ადგილზე დგას, გაოგებული და ნირნამხდარი. ეჩვენება, რომ ერთხელ უკვე სიზმარში ნახა მის მიერ განვლილი სიცოცხლე და ეხლა ნელ-ნელა იგონებს. საყვარელი არსების თვლები მისთვის სსოვნის ნაკრძალია, მიუღვს კლდეზე ატყორცნილი ციხე-სიმაგრე, რომლის შემხედვარე მისი სული მყისიერად ივსება უცხო ნაპირთა წყურვილით. საკუთარი თავისთვის ყიდულობს ყვავილებს და ხედავს, რომ ძუ მგელივით წამოსწევია სიბერე, თუმცა ხიბლი ამასაც აქვს, რადგან შესაძლებელი ყოფილა მარტოობით უგონო დათრობა. ალაზანი ენატრება, დინჯად, მდორედ მავალი ალაზანი, სამშობლოდან გასვლა რომ არ ეჩქარება და ამიტომაც მიედინება ასე ტატი... თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე.

თავადაც თარგმნით ანა ახმატოვასა და ევგენი ევტუშენკოს ლექსები.

თქვენს კალამს ეკუთვნის რომანი „წვიმების სეზონი“, ჩვენი უახლოესი წარსულის ურთულეს პერიპეტებიებს რომ ასახავს; აგრეთვე პუბლიცისტური სტატიების კრებული „ნათელი ინტერვალები“...

სხვადასხვა დროს მუშაობდით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს ქუთაისის ფილიალის კორექტორად, ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარედ, გაზეთ „ფეიქარის“ რედაქტორის მოადგილედ, აღმანახ „განთიადის“ სტილისტად, გაზეთ „ქუთაისის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „სალამოს ქუთაისისა“ და საყვანელო შურნალ „ციცინათელათა ქალაქის“ მთავარ რედაქტორად. არჩეული ხართ შურნალების „განთიადისა“ და „მერმისის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ ტიცინ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიები, არჩეული ხართ ქუთაისის საპატიო მოქალაქედ.

ქალბატონო ტიკა! მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი მშვენიერი შემოქმედება ჯერ კიდევ ელის ჭეშმარიტ დამფასებელსა და შემფასებელს.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



გივი ჯახია – 85

85 წლისა შესრულდა ღვანლმოსილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი გივი ნოეს ძე ჯახია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ძვირფასო ბატონო გივი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ქართული მწერლობის რუსთაველი გუნდის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში \_ დაბადების 85-ე წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1953 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სოციალისტურ რუსთავში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი მხატვრული ნარკვევი. მას შემდეგ ნაკოფირ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევეთ. თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, ნოველები, პუბლიცისტური სტატიები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენს მიერ განვლილმა ხანგრძლივმა შემოქმედებითმა და საზოგადოებრივმა საქმიანობამ, შინაარსიანმა, ძველქართული პატიოსნებით გაპოხილმა ცხოვრებამ ყველას კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვარწმუნა იმ უბრალო ადამიანურ ჭეშმარიტებაში, რომ დიდი საერო საქმეები შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ აკეთო და ქვეყანა არ აიკლო საკუთარ სიქველეთა აფიშორებით.

თქვენი პროზაული კრებულები („ნათია“, „ოდოია“, „ხალხობა მემკვიდრენი“, „გრძელი ღამე“, „ცხენი თუ მოგაპარავს“, „ჟამი მსხვერვისა“, „ჩემი სევდიანი მურუცხევი“, „სიყვარულსა მალვა უნდა“, „ზღაპრის ბიჭი“...) თავანკარა ქართულით, თხრობის სიღრმით და ილოვების ბუნებრიობითა და წერის კულტურით რომ გამოირჩევა, თქვენი მწერლური ნიჭიერების ერთი მშვენიერი დასტურია. თქვენს ნაზრევში ქართველ რაინდთა სული ბინადრობს, რომლებსაც საქართველოს ერთგულება, მოყვასის სიყვარული ძვალ-რბილში აქვთ გამაჯდები. თქვენც საოცრად ჰგავხართ ზღაპრის ბიჭს, თქვენი ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟს, რომელსაც თავისთვის არაფერი ემეტება და სიკეთეს უანგაროდ გაცემს ყველაზე...

გამორჩეული პუბლიცისტი ბრძანდებით და თითოეული პწკარი თქვენი პუბლიცისტიკის ივერთა მინის პრობლემებითაა გაჯერებული.

მთელი თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა რუსთავთანაა დაკავშირებული, რომლის წინსვლასა და აღმავლობას არაერთი ათწლეული შეაღიეთ. მუშაობდით გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორად, ქვემო ქართლში საქართველოს ტელერადიო-მაუწყებლობის მთავარ კორესპონდენტად, რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარედ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარ კორესპონდენტად, მწერალთა ასოციაცია რუსთაველის თავმჯდომარედ, გაზეთ „სამშვილდეს“ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „ლიტერატურული ქვემო ქართლის“ მთავარ რედაქტორად. თქვენი რედაქტორობით გამომავალი აღმანახი „ვარ რუსთაველი“ გვხიბლავს პროფესიონალიზმითა და დახვეწილი გემოვნებით.

მონიჭებული გაქვთ დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხის, მწერალთა კავშირის პრემიები. არჩეული ხართ ფაზისის ეროვნული აკადემიის წევრად, რუსთავის საპატიო მოქალაქედ. ძვირფასო გივი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საწუკვარი მიზნების განხორციელებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ლინა ბაკათაშვილი – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ლინა დავითის ასული ბარათაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ქალბატონო ლინა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები მონიჭებით მოგესალმებიან დიდ ქართველ ბანოვანთა შთამომავალს. სათნოებითა და კეთილმოხილებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში \_ დაბადების 75-ე წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1961 წელს შედგა, როდესაც ხარაგაულის რაიონულ გაზეთში „ლენინის დროში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ფაჟა-ფშაველას“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – საქართველოზე დარდით გულგასენილი შემოქმედის ლექსები და პოემები ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

„მოლოდინი“, „მარტოობის კუნძულები“ \_ ეს ის პოეტური კრებულებია, რომლებშიც სრულად გამოვლინდა თქვენი პოეტური პოტენციალი. მათი ავტორი ხომ მთელი ცხოვრება ოცნებების უმშვენიერეს, ქათქათა თეთრ ტაძარს აგებდა და საკუთარი სულის ლაჟვარდებში საფრენად აფრთიანებდა დაუბუზბლავ ბარტყებს – ლექსებს. მთელი თქვენი პოეზია უმშვენიერეს სიყვარულით სავსე სურას ნააგავს, საიდანაც წვეთ-წვეთობით ეპკურება თქვენი სულის ნაჟური მშობელი ქვეყნის მირიადჯერ დაკოდილ და დახეთქილ გულს. ცდილობთ მტლად დაედოთ ამ იარებს და მთელი სამყაროს გასაგონად იყვიროთ, რომ სამოთხის იმ ნაწილს, საქართველო რომ ჰქვია სახელად, გადარჩენა სჭირდება. თქვენი ფიქრები დღენიადაც დავით აღმაშენებელს დასტურიალებს, ისევ მისი ორლესული მახვილის იმედი გაქვთ...

თქვენი მშვენიერი წიგნით „საქართველოში იბადებოდნენ“ კიდევ ერთხელ შეგვახსენებთ იმ დიდ ქართველთა სახელებს, ვისაც მამულზე ფიქრის გარეშე ერთი დღეც არ უეცხოვრიათ. ხოლო სიყვარულით ნაქარ თქვენი „მზითვის წიგნი“ ქართველთა აკვნების გამრავლებისკენ მოგვიწოდებს და გვაფრთხილებს, რომ თუ რამ უბედურება გვჭირს ქართველებს, ეს ჩვენი მცირერიცხოვნობაა, ჩვენი დაცარიალებული ეზო-კარია...

ცხოველი ინტერესი გამოიწვია ბოლო დროს გამოქვეყნებულმა თქვენმა ახალმა პიესამ „გვირგვინს იქით საქართველო“, რომელიც თამარ მეფეს მიუძღვნით.

სხვადასხვა დროს მუშაობდით ხარაგაულის რაიონული გაზეთის კორესპონდენტად, გაზეთ „წერგის“ განყოფილების გამგედ, გაზეთ „დედას“ რედაქტორად. არჩეული იყავით საქართველოს ქალთა საბჭოს წევრად.

თქვენი ნაკოფიერი მრავალწლიანი მოღვაწეობა აღინიშნა დავით აღმაშენებლის, ნიკო ნიკოლაძის და საქართველოს ბავშვთა საერთაშორისო ფონდის პრემიებით. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის სახელობის ლიტერატურული კონკურსის პრიზი – დავით აღმაშენებლის მოქოროვილი ხატი, აგრეთვე რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის პრიზი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და ხარაგაულის საპატიო მოქალაქის ნოდება.

ქალბატონო ლინა! თქვენ ჩვენთვის მუდამ სინმინდისა და კეთილმოხილების ჭეშმარიტი განსახიერება იყავით და ხართ.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



# რაც ჩავინწყებით არ იბინდება

## გალაკტიონი და ნაყარა

პოეზიის უგვირგვინო მეფე გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს ყველა კუთხის ძვირფასი სტუმარი გახლდათ. მისი უსაყვარლესი ქალაქი ქუთაისი იყო. იგი მგოსანს შთაგონების ნამდვილ წყაროდ მიაჩნდა, მაგრამ არანაკლები პატივისცემით იყო გამსჭვალული ნაყარა-სადმი, სადაც პერიოდულად სამკურნალოდ ჩამოდიოდა. აქ მას საკმაო ნაცნობები და მეგობრები ჰყოლია.

„ბევრი კარგი დრო მაქვს გატარებული ნაყარაში. იოსელიანების „მრავალ-ჟამიერი“ ავლიანებში გაისმოდა...“, — არაერთხელ მოიგონებდა თურმე. აქაური ჯადოსნური ნაყარა-სადმი მოხიბლულს შესანიშნავი ლექსი — ესპრომი დაუწერია, რომელიც მოგვიანებით სასიმღეროდ აიტაცა ქართველმა ხალხმა და, შეიძლება ითქვას, ნაყარა-სადმი ჰიმნად იქცა.

აი, რას იგონებდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი გრიგოლ იარაღი:

„1934 წლის ადრინა შემოდგომა იდგა, საგზურით ნაყარა-სადმი რომ ვეწვიე. ასეთ დროს კურორტი განსაკუთრებით საამო, გულუხვი და მიმზიდველია, ხალხმრავალია და მკურნალობაც უფრო შედეგიანი. ერთ კვირა დღეს ქუთაისელი კოლეგა-ჟურნალისტები მოულოდნელად „თავს დამეხსენ“ და გამიტაცეს სანაყაროდ. ბაღდათში მეგობარ პოეტს მიქელ პატარაძეს ვესტუმრეთ, შემდეგ გელათში ავედი, ბოლოს კი ბაგრატიონის ტაძრის ნანგრევებში ქვაზე ჩამომჯდარ, ფიქრს მიცემულ გალაკტიონ ტაბიძეს წავაწყდი. როგორღაც გატანჯული სახე ჰქონდა, მშობლიურ საყარად და სამაისო ქუთაისს ამჯერად ვერ გაეხარებია იგი.

ჩვენს დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. საინტერესო საუბრით მთელი უქიმერიონი შემოგვატარა. გაიგო, რომ ნაყარა-სადმი ვისვენებდი და მითხრა:

„ყმაწვილო, ხვალ ჩამოვალ თქვენთან და საინტერესო ხალხს გაცნობ!“...

მართლაც, მეორე დღეს, მეხუთე სააბაზანოს მახლობლად, მაშინდელ ხის ხიდთან, ეგრეთ წოდებულ „სალამოს ბაზარზე“, სადაც მოხარული სიმინდი და ახალდაკრეფილი ხილი გამოჰქონდათ გასაყიდად, გალაკტიონი შევნიშნე. ვილაკ კარგად შეზარხოშებულ, გულზე და ლამაზ ფაქცაცს ელაპარაკებოდა. ხელით მიმიხმო და გაცნობდა:

ეს კაცი ცნობილი სიმონიკა ფხაკაძეა!...

გაგონილი მქონდა რუსეთის იმპერატორის სასახლის განთქმული კავალერის, ქეიფისა და დროსტარების „დიდოსტატის“ სახელი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ცოცხალი იყო და ნაყარა-სადმი შეხვედებოდი. ფუჭად გავლანჯული ცხოვრებისა და ხანდაზმულობის მიუხედავად, ძველი ეშხი შერჩნოდა. ცოდვები გამოესყიდა, ნითელი არმიის ერთ-ერთი ცნობილი სარდლის, სიმონ ბუდიონის რეკომენდაციით სალოვკაში ცხენსაშენს განაგებდა. მშობლიური მხარე მონატრებოდა. სანაყარაში იყო, მაგრამ მალაქა-კელებს გაეგოთ თანასოფელის ჩამოსვლა და ლამობით ღია ფანჯარაში ხის შამფურზე ნამოცემულ დაბრუნულ ვარიებსა და დოქით ღვინოს უდებდნენ...

ჭრვეული ახალგაზრდობილი პალატამდე მივაცილეთ და მუსაიფით მინერალური წყაროს პარკისაკენ მიმავალ ბილიკს გავეყვით. გალაკტიონს თავისი ახალი ნიგნის ბედი აინტერესებდა, რომელიც ჩვენთან „სახელგამში“ გამოდიოდა. შუა პარკში, სამკითხველოსთან ჩამოვსხედით. სასაუბროში შევიპატიჟე, მაგრამ არ ისურვა. საკურორტო სამმართველოსთან კურორტის დირექტორი ვ. იამელია გამოგვეგება და სააბაზანოების დათვალიერება შემოგვთავაზა, მაგრამ ისიც მადლით გაისტუმრა. მოუსვენრობა ეტყობოდა, თითქოს

ვილაკას ელოდა. ჩემი გუმანი გამართლდა. მალე სასტუმროს მხრიდან ხეივანში ორი ანაფორიანი გამორჩნდა, მაშინვე ვიცანი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და მისი მსახური. გალაკტიონი უმაღლესი ნამოქრა, შეეგება და მიესალმა. მეც ავდექი, მაგრამ ადგილზე ვახევევულმა, არ ვიცოდი, რა მექნა. როცა მომიახლოვდნენ, გააცნო ჩემი ვინაობა, ხელი მომიკიდა და გამიყოლია — მე-სამე სააბაზანომდე მივაცილოთო, მითხრა. თავს ზედმეტად ვგრძობდი, მაგრამ საუბრით გართული პოეტი არ მეშვებოდა...

კალისტრატე ცინცაძე დიდად განსწავლული პიროვნება გახლდათ და მათმა ბჭობამ საქართველოს ისტორიასა და ქართულ ენაზე ყველაფერი გადამაჯინა. იგი აფრთხილებდა გალაკტიონს: „გაუფრთხილდით, ენა არ გაგვიცდესო“. მკურნალობით კმაყოფილი იყო და დიდი მოწინებით იხსენიებდა სტალინის ღონისძიებებს, რაც ნაყარა-სადმი მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის ხორციელდებოდა.

ამასობაში კათოლიკოსი აბაზანაში მიწვიეს. როცა მარტო დავრჩით, დრო ვიხელთე და საყვარელ პოეტს შევკადრე:

ბატონო გალაკტიონე, ვიცი, თავდავინყვებით გიყვართ ეს მხარე და მიკვირს, ამ უზარმაზარი მშენებლობის პათოსის მოწმეს აქამდე სტრიქონი არ მიგიძღვნიათ ნაყარა-სადმი...

მტანჯველი ფიქრებით შორს მონავარდე მგოსანმა ვერ გამოვიდა და გამამეორებინა ნათქვამი, უცნაურად გამოიღმა, პატარა უბის ნიგნაკი ამოიღო, სასწრაფოდ რაღაც დანერა ფანქრით, ფურცელი ამოხია შემომარჩა და ნამოგდა.

ახლა კი ნავალ! — მომადხა და უკანმოუხედავად გასწია, დადევნება მიწდოდა, მაგრამ ვერ გავებედე. უხალისოდ დავხედე ხელში შემორჩენილ ქალღის და ვავოცდი. რამდენჯერმე სულმოუთქმელად ჩავიკითხე:

„ნაყარა-სადმი ქუთაისში მიმავალი ქარო, თუ მისის ქუთაისმა გკითხოს — ვინა ხარო, უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ, არ კი უთხრა — ვისი, ისეც იგრძნობს ქუთაისი, ჩემი ქუთაისი!...“

საამო ჰანგებდა ჩამეწვეთა ყურში ეს ლირიკული სტრიქონი. იმავე დღეს შესანიშნავ მუსიკოსს, ლობჯანიძის ბიძინა ლოლობერიძეს ვაჩვენე. ძალიან მოეწონა, — ეს ხომ თვითონ მუსიკააო და გადანიწრა.

მალე რადიოთი მოვისმინე დღეს საკმაოდ გავრცელებული შესანიშნავი სიმღერა. გალაკტიონმა კი ეს ტექსტი მხოლოდ ჟურნალ „მნათობის“ 1938 წლის მე-11 ნომერში დაბეჭდილ პრელუდიებში გამოაქვეყნა (გვ. 9-10). მის ამ ხელნაწერს სასოებით ვინახავ პირად არქივში. მიძინებული ძვირფასი განცდები მუდამ ახალი ძალით იფეთქებენ-ხოლმე, როგორც კი ნაყარა-სადმი მინახე ფეხს დავადგამ“...

როგორც ბატონმა გრიგოლ იარაღომ 1985 წლის ბოლოს გაზეთ „ნაყარა-სადმი“ რედაქციაში სტუმრობისას განაცხადა, ეს მოგონება მგოსანის გარდაცვალების ცხელ კვალზე დაწერე და რაიმე მნიშვნელოვან შესწორებას ვერ ვებედე, რადგან სხვა მოგონებები აქ უადგილოა (მოგონება ლექსის ხელნაწერის ფაქსიმილესთან ერთად გაზეთის 1986 წლის 7 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა).

ნაყარა-სადმი მიძღვნილი ლექსის ბედა და მისი დაწერის თარიღზე სხვადასხვა აზრი არსებობს (არნოლდ ჩიქობავა, იოსებ ნონეშვილი, აკაკი განერელია, ნიკა აზიაშვილი)...

ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი შალვა რადიანი იგონებდა:

„არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი. ზოგიერთი ვარიანტის ბოლოს იკითხება: „შენაც მზეო, იმ მხარისკენ,

ემურები თითქოს, თუ ქალაქმა, ყანის პირად, ვინა ხარო, გკითხოს, უპასუხე, რომ პოეტის შენ ხარ მწვანე ველი, არ მინახავს მისი არე გადის ოცი წელი, ბევრი გზები მოვიარე, კიდევ სხვა გზებს ველი, მზე გაცვალე? ვისში? რატომ? არა, არა, არა! ნაყარა-სადმი ქუთაისში მიმავალი ქარო“.

სხვაგან ემატება:

„ნაყარა-სადმი ქუთაისში მიმავალი ვიყო ქარო, თვით არ ვიცი, გულში რამდენ საიდუმლოს ვინახავო“.

გალაკტიონი ნაყარა-სადმი, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რომ არის ნამყოფი, ეს ლექსების ვარიანტიდანაც ჩანს („არ მინახავს მისი არე, გადის ოცი წელი“).

აღნიშნული ლექსი შესულია პოეტის ყველა გამოცემაში. იგი დაიბეჭდა, აგრეთვე, ნაყარა-სადმი მიძღვნილ პოეტურ კრებულში, რომელიც დიდი რუდუნებით შეადგინა და ორჯერ გამოსცა კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნაყარა-სადმი ფილიალის დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ნაყარა-სადმი მემატიანემ ოთარ შავიანიძემ...

დაშავებული ფეხის სამკურნალოდ, გალაკტიონი 1950 წლის აგვისტოში ისევ სწვევია ნაყარა-სადმი. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მაშინდელი დირექტორის ბორის ბუკიას თხოვნით, იგი ქარხნის სპეციალისტთან სახლში დაბინავებულა და აბაზანების მისაღებად ყოველდღიურად საკუთარი „პობედი“ დადიოდა, რომელსაც დაქირავებული მძღოლი მართავდა. პოეტს თან ახლდნენ (არაოფიციალური) მეუღლე ნინო კვირიკაძე და ქალბატონი ნინოს ძმისწული, ახალგაზრდა პედაგოგი ეთერ კვირიკაძე.

ქალბატონი ეთერი, მოგვიანებით, გაზეთ „ნაყარა-სადმი“ რედაქციაში ყოფნისას მგოსანის სტუმრობას ასე იხსენებდა:

„ერთხელ, მგზავრობის დროს, კურორტის შემოსასვლელში (რომელიც დღეს მგოსანის სახელს ატარებს), მდინარე ნაყარა-სადმი ნაპირებთან, მწვანედ აბინებულ იყნები რომ შენიშნა, მძღოლს მანქანა გააჩერებინა. მაშინ სიარული ძალიან უჭირდა, ყავარჯნები მოიშველია, ძირს ჩამოვიდა და სიმინდებს შეერია. ყანა ახალი გამარგული იყო და ჰაერში მინის დამატარებელი სურნელი ტრიალებდა. „ისეთი ლამაზია ეს დალოცვილი, მოფერებაც მოგინდება კაცს!“, — ჩაილაპარაკა თავისთვის, მერე კი ჩვენ გადმოგვხედა და, თითქოს თავისი განცდების ჩვენში გადმოტანა უნდაო, დასძინა: „ჰა, როგორია?!...“

საოცარი სიტოთი ანთებულ მის თვალებს რომ შეხვედე, რატომღაც, მისივე ლექსის სტრიქონები გამახსენდა: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი არ გაიარე, რაა მამული...“ მართლაც საოცრად დიდი და მგრძობიარე გული ჰქონდა ამ გენიის კაცს, სულის სიღრმემდე სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული. ბალახის ღერო-საც ისე უყურებდა, როგორც ადამიანს. ამ ქვეყნად ყველასა და ყველაფერს — უტყყესა და მტყყველს, სულიერსა თუ უსულოს თავისი წილი სიხარული და ტკივილი აქვსო, — გვეტყოდა ხოლმე.

წყლის პროცედურებს პოეტი მეხუთე სააბაზოში იღებდა. მახსოვს, იქაური თეთრხალათიანები როგორი მოწინებით ხედებოდნენ გალაკტიონის გამოჩენას, რაზედაც იგი გულთაძი მადლიერებით პასუხობდა.

სააბაზანოს წინ მშენიერი სკვერი იყო გაშენებული. გალაკტიონს ძალიან უყვარდა პარკში სეირნობა, ადამიანებთან ურ-



თიერთობის საოცარი უნარი ჰქონდა, ნაცნობ-უცნობებთან საუბრისას ბევრ ახალს ვისმენთო. — ამბობდა.

ერთხელ მოხუც მეგობრებს გამოელაპარაკა და ისე გატაცებით გაერთო მასთან საუბრით, რომ შეუმჩნევლად გაეპარა რამდენიმე საათი. როცა მორიდებით შევახსენე ნასვლის დრო, საათზე დაიხედა, ნამოდგა და გაღიმებულმა მითხრა: — რა დრო გასულა, არადა, მართლაც, რა საინტერესო კაცი იყო...

გალაკტიონი ბევრს კითხულობდა, დიდადი ჟურნალ-გაზეთი ჰქონდა გამოწერილი, მათ შორის — გაზეთი „ახალი ნაყარა-სადმი“, რომლის ქვითარი პოეტს სხვა ქვითრებთან ერთად თბილისიდან ქუთაისში ჰქონდა ნამოტებული, რათა აქ ყოფნისას, პრესა შეუფერხებლად მიეღო. ნაყარა-სადმი მკურნალობისას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ურთიერთობაც არ შეუწყვეტია პოეტ-აკადემიკოსს, ხშირად იღებდა დედაქალაქიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს.

პოეტმა, რამდენიმე აბაზანის მიღების შემდეგ, ჯერ ერთი ყავარჯენი გადაადლო, შემდეგ მეორეც მოიშორა და მალე, სრულიად განკურნებული, მისთვის ჩვეული ღონიერი ნაბიჯებით დადიოდა...„

ნაყარა-სადმი სიყვარული კარგად ჩანს გალაკტიონის ერთ-ერთ მოგონებაში, რომელიც სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1956 წლის მარტში, მოსკოვში ქართული ლიტერატურის დეკადის დღეებშია დაწერილი:

„კორიდორში კრიტიკოსმა დევმა რომ დამიძახა, ძლივს დავდიოდი, მითხრა, „ნაყარა-სადმი უნდა წახვიდე, მე ოთხჯერ ვარ ნამყოფი ამ შესანიშნავ კურორტზე“...“

ტკივილებმა ცოტათი მიკლო, ფეხები მაინც... ეჰ, ნაყარა-სადმი, ნაყარა-სადმი, დევი ყოველ წელს დადის იქ მოსკოვიდან, მე კი აქ ვარ და ვერ მომიხერხებია“...

ბევრი, ძალიან ბევრი სიტოთი მიჰქონდა პოეტს ნაყარა-სადმი ნასვლისას, მაგრამ აქაურებსაც უმურველად უტოვებდა თავის წილ სიტოთსა და სიყვარულს. სხვა რომ არაფერი, ამ გრძნობის დასტურად მარტო მისი ცნობილი ლექსი. კომპოზიტორ ბიძინა ლოლობერიძის მიერ სიმღერად აქლერებული „ნაყარა-სადმი ქუთაისშიც“ კმარა, მაგრამ ვაი, რომ კურორტისაკენ მხოლოდ წარსულის დიდება და სახელი შემორჩა.

გვნამს, სასიკეთო ქარი მალე დაუბერავს, ნაყარა-სადმი ალორძინდება და ძველებურად გაბრწყინდება, მგოსანის სახელობის ქუჩით მობრძანებულ სტუმრებს კვლავ შეაგებებს ძველ ღიმილს და მინის გულიდან ამოჩქეფილი შვებისმომგვრელი რადიონული ნაყარა-სადმი დაუბეჭდს ყველა ტკივილს.

*მურთაზ პანკაძე,  
გაზეთ „ახალი ნაყარა-სადმი“  
რედაქტორი,  
საქართველოს მწერალთა  
კავშირის წევრი*

# აღვნი კაქის ხარ ყაზარტენი

## ზაალ ბოტკოველი

ეს სტრიქონები ვასილ გვეტაძის იმ ლექსიდანაა, რომელიც მან ჯანსუღ ჩარკვიანს მიუძღვნა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა სულ ახლახან აღსრულებული ღვანლმოსილი მხცოვანი შემოქმედის პოეზიაში. ამ ლექსში მთელი სისავსით წარმოჩინდა პოეტი და პიროვნება, რომელსაც სიკეთის და სათნოების აღქმის გამძაფრებული ალლო აქვს და მეტად სოლიდურ ასაკშიც კი ბავშვური გაოცებისა და გაკვირვების უნარი გააჩნია. ეს კი ის ნიჭია, ბატონებო, რომელიც მხოლოდ ღვთიური მადლით უხვად მომადლებულ ადამიანებს გააჩნიათ, ადამიანებს, რომლებსაც ამ ცოდვითადაცემულ ქვეყნიერებაზე ბევრი უნახავთ სათნოების სამოსელში გამოწყობილი არაკაცები, ერთდროულად ბოროტებასთან, შუღლთან, გაუტანლობასთან, ვერაგობასთან, უმადურობასთან რომ არიან წილნაყარნი. ჯანსუღზე ლექსი ბატონ ვასილს მადლიერების გრძნობამ დაანერინა. ახლა შეიძლება ამაზე გულახდილად საუბარი. ვასილ გვეტაძე წლების განმავლობაში მუშაობდა ერთი ჟურნალის რედაქციაში, რომლის რედაქტორიც, მოიარებით რომ ვთქვათ, არ ეკუთვნოდა ჯანსუღ ჩარკვიანის კეთილმოსურნეთა რიცხვს, უფრო მეტიც, იმ იდეალებისა და სანატრიონის ხმალამოდებული მოწინააღმდეგე იყო, რასაც XX საუკუნის „სამოციანელების“ თაობა ამკვიდრებდა. მე მგონი, ნათლად ვთქვი სათქმელი. წლების შემდეგ იმ რედაქციაში ჯანსუღი განამნეს და ყველა ელოდა, რომ მისი წინამორბედის გამო ჟურნალში რეპრესიები დაიწყებოდა, თანაშრომლების შევიწროებასა და სამსახურიდან დათხოვნას რომ გულისხმობს. ჯანსუღმა კი სახტად დატოვა ყველანი, როცა მხოლოდ მისთვის ჩვეული გულისხმიერება და სიყვარული გამოუცხადა ყველას და ყველანაირი პირობა შეუქმნა მათ საკუთარი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენაში. ვიმეორებ, კაცობის, ვაჟკაცობის, რინდობის აღქმა მხოლოდ იმით შეუძლიათ, ვინც თავად არიან რაინდებად, ვაჟკაცებად მოვლენილნი ამ ქვეყანაზე. სწორედ ასეთი რაინდი იყო ვასილ გვეტაძე.

ან რა გასაკვირია, მისი პიროვნებად, შემოქმედად ფორმირება, მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბება ხომ მეორე მსოფლიო ომის მრისხანე, უსასტიკესმა, დაუნდობელმა და სისხლიანმა წლებმა განაპირობა. ამ ომმა გამოაწვინა ქვეყანა და ეს ყოველივე მის შემოქმედებაზეც აისახა, რომლის ლირიკული გმირიც პირგამეხებული დაჭრილი ბებერი ლომივით დადის საქართველოში და სამშობლოს ეძებს, იავარქმნილ, დამცრობილ სამშობლოს, სევდა და ნალველი შეპარვია პატიოსან ჭალარაში და მხოლოდ სამეზობლიან, ნარიყალადან, ანჩისხატიდან, დიდუბიდან ზარების გუგუნი ისევ უბრუნებს სიცოცხლის ხალისს, სამშობლოს ხსენს იმედს...

არსებობს ერთი სევდისმომგვრელი ფოტო, რომელზეც იმ ავადსახსენებელი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი მწერლები არიან წარმოდგენილნი – რევაზ ჯაფარიძე და ალექსანდრე გომიაშვილი, ნიკა აგიაშვილი და რევაზ მარგიაანი, ელიზბარ ზედგენიძე და თინა დონუაშვილი, შალვა ამისულაშვილი და ვანო ურჯუმელაშვილი, გიორგი ქავთარაძე და აკაკი გენაძე, ვახტანგ გორგანელი და შალვა ამისულაშვილი, სხვანი და სხვანი. მათ შორისაა ვასილ გვეტაძეც, უკანასკნელი მოჰიკანი იმ მშვენიერი კოჰორტისა.

შარშან ვასილ გვეტაძე – პოეტი და ერისკაცი სამუდამოდ შეუერთდა სულეთში დაბინავებულ თავის საყვარელ თანამოკალმეებს, რომლებიც ლეთის მეორე ნაპირზე მყოფნი ცრემლმორეული ეგებებოდნენ ძმასა და მეგობარს, რომელმაც შესძლო კაცად დარჩენილიყო „ბენვის ხიდზეც და უფსკრულის პირას“.

უფსკო კაცის ხარ ჯავარჯენიო – დაუნერა ჯანსუღ ჩარკვიანს და ბედისწერამ იწება თავადაც ყავარჯნად ქცეულიყო ოფიცერ ჯანდრი უბირიასათვის, რომელმაც ორივე ფეხი დაკარგა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისას და მაინც არ გატყდა, არ დაჰკარგა სულიერი მხნეობა და დღემდე სამშობლოს ემსახურება.

ასე იცხოვრა და იღვანა ვასილ გვეტაძემ. მარადიულ ნათელში ამყოფოს არსთავამრიგემ ისიც და საქართველოზე ფიქრში შემოღამებული სხვა დიდი ქართველებიც.



## ეთერ ზარიძე

**ბატონ სოსო სიბუას**  
რა ღირსეულად ატარებ კოლხი რაინდის მანტიას, ერისკაცობის პორტრეტი ლამაზად დაგინახტია. სიბრძნით და სულის სიმაღლით ხარ მუდამ გამორჩეული, სიმართლეს ემსახურები, სიყალბეს არ ხარ ჩვეული. ყველას გულწრფელად უღიმი, გამკობს კოლხური ზრდილობა, ღმერთმა დაგლოცოს! გიკურთხოს ლამაზი გვარის შვილობა!

## ქართველების გასაჭირი

ჩემი სამშობლო დარბეული და დაქცეული, უძლებ შვილთათვის ფულის ქისად გადაქცეული. ქართველის ბედი ხერხემალი გადამსხვრეული, ჩვენი გმირები სხვის მიწაზე სისხლდანთხეული. ჩემი სამშობლო სამოთხე და უფლის ედემი, ქართველები კი-მხოლოდ ღმერთის მოიმედენი. არაფერს გვშველის არც ევროპა, არც ფლიდი ნატო, ხალხი მათხოვრად გადაიქცა და სიკვდილს ნატრობს. ყველა გვატყუებს, უნდათ ჩვენი გამოყენება, იუდამ თითქმის აისრულა რაც კი ენება. ჩაქოლეს ჩვენი ეროვნული ადათ-წესები, უნდათ მოთხარონ საქართველოს მძლავრი ფესვები. სახლი გვენგრევა, დედაბოძი ნაქცეულია, მშვიერი ხალხი საშოვარზე გაქცეულია, აღარც ვახტანგი და არც დიდი მეფე დავითი, ჩვენს გაჭირვებას ვინ გაიგებს, ან ვინ დაითვლის. აღარ გამოჩნდა ქართველისთვის ხსნა და საშველი, გულს ეძალემა მწარე ფიქრი სევდის ამშლელი.

## არ მნამს

ისე სიცოცხლე არ მინდა, არ მნამს ვხატო ცხოვრება ლამაზ ფერებად, კარგის და ავის ვერ შევძლო განსჯა ვით ადამიანს შეეფერება. ვერ გავარჩიო თეთრისგან შავი, არ ვიყო ყველგან ნადლი და წრფელი, გულით ვატარო ზრახვები ავი და მაინც ურცხვად მერქვას ქართველი. გულს ნამეკიდოს ლექსის აღმური, სულს მიდაგადეს სიტყვა სათქმელი,

თუკი მოითხოვს ჩემი მამული, მისთვის დავინვა როგორც სანთელი.

## საუკუნეებს ემახსოვრება

მგლის ხროვა ცხვრების ტყავით მოსულა გაქრა იმედი და მყუდროება... ჩაქოლილა და გასხვისებულია "ენა, მამული, სარწმუნოება" ყველგან ლალატი, ადამიანთა განცალკევება, განმარტოება, სატანის როკვა და ღრინაცელი, სინდის ნამუსთან გაუცხოება. ყველგან შიმშილი, ყველგან სიცივე, გაუსაძლისი გახდა ცხოვრება, ქართლი ხერხემალიადატეხილი საუკუნეებს ემახსოვრება. ჩვენზე ახია

როგორ ადვილად მოატყუეს ბრძენი ქართველი, ზოგი გონება შეზღუდული, ზოგიც ჯანმრთელი. ხომ დაგვაჯერეს რომ ტყემლის ხეს ბალი ასხია, და რაც მივიღეთ ჩვენს გამოა, ჩვენზე ახია. როგორ მივენდეთ მატყუარებს, ვერაგებს, ფლიდებს, რად ვაშენებდით შუა ზღვაში ოცნების ხიდებს. ახლა კი ვზივართ უმწეონი და დამშეულნი საკუთარ სახლში სხვების მონად გადაქცეულნი.

## შორს არი

გახსოვს? ხასხასა და მწვანე მინდორს როგორ ამკობდა თეთრი შროშანი, უკვე ამაოდ მივტირი იმ დროს, ის სიყმანვილე ახლა შორს არი. ჩუმად კოცნიდა ყვავილს პუბელა ვარდს უგალობდა მთვრალი ბუღბუღი, ცელქი ნიავი გაჭრილი ველად, ილხენდა ტრფობით გადაბუგული. მხოლოდ ტირიფი იდგა თავდახრით ცრემლიან სახეს თმებში მალავდა... სულში ათოვდა ფიქრები თალხი, ნატვრა-ლოდინში გაჭალარავდა. მწვანედ შემოსილ ხასხასა მინდორს ახლაც ამშვენებს თეთრი შროშანი, მაგრამ ამაოდ მივტირი იმ დროს, ის სიყმანვილე ახლა შორს არი.

## ერთი ნაბიჯი

ცრემლი დამჩემდა ბედად, ვიცი და აღარ გელი, გულში სრიალებს სევდა, როგორც ასპიტი გველი. დარდის სანვიმარ ღრუბლებში უჩინარდები ისევ, გამიორგულდა ნუგეში, სევდის მუსიკას ვისმენ. სულში ტკივილმა დათოვა, არსად იმედი არ ჩანს, სიყალბემ შემომაქსოვა სამგლოვიარო ფარჩა. ტანჯვამ ვერ გადამაქცია მოლაღატედ და ჩარჩად... ვხედავ, რომ აღსასრულამდე ერთი ნაბიჯი დამრჩა.



მთვარისა კირისელიძე – 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და მოლვანე მთვარისა დავითის ასული კერესელიძე-ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო მთვარისა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, მშვენიერ ქალბატონს, საზოგადო მოღვაწეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი პირველი ლექსი „მე დავიბადე ივლისის თვეში“ 1963 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს ქალში“. მას შემდეგ მთელი ეპოქა გავიდა, შეიცვალა ფორმაციები, მაგრამ არ შეცვლილა თქვენი კრედიტი – მთელი არსებით ყოფილიყავით მშობელი ქვეყნის სამსახურში, მთელი თქვენი შემოქმედება მოგედევნათ მისი აწმყოსა და მომავლისათვის...

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით ხვდებოდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „სათავე“, „ჭრელი გაზაფხული“, „ოღონდ ისმინე“, „ფრესკის ლალადი“, „მოგონება“, „პოეზია“, „დუმბილის შემდეგ“, „ნავგლეკა მტერმა მოყვრულად“, „თუკი დღეს გადარჩა საქართველო“, „ასი ლექსი“... ამ კრებულებმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, თუ რა ჩინებული პოეტი ბრძანდებით, თუ როგორ ძალუძს თქვენი პოეზიის ღირსეულ გმირს გარდასახვა ხან ბერ თევდორედ, ხან პაატად და ხანაც ცოტნე დადიანად, დიას, იგი საქართველოს მეციხოვნეა, იმ ქვეყნის შვილი, სადაც სიმღერით კვდებიან და სიმღერით ცოცხლდებიან, მტერს აროდეს ნებდებიან და უსასრულობის უკიდევანობაში მიისწრაფვიან, იქ სადაც ქარები ღრუბლებში აჭრილი მოლივლივე ხომალდების აფრებს ამრიალებს...

თქვენი ლექსები თარგმნილია უკრაინულ, ყაზახურ, ავარულ, რუსულ ენებზე.

თქვენს კალამს ეკუთვნის მრავალი საყურადღებო პუბლიცისტური სტატია და ნოველა.

წლების განმავლობაში დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდით. სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს რადიოს ახალგაზრდული გადაცემების განყოფილების რედაქტორად, გაზეთ „სახალხო განათლების“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ... თქვენი დაარსებულია გაზეთი „პოეზია“, რომლის მთავარი რედაქტორიც თავადვე ბრძანდებით, დამფუძნებელი და პრეზიდენტი ხართ შემოქმედ ქალთა ასოციაცია „ოცნებისა“. არჩეული ხართ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრად. დიდხანს ხელმძღვანელობდით მასწავლებელთა სახლთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას და თქვენი წვლილიც შეგქონდათ ახალგაზრდა შემოქმედთა დაოსტატებაში.

დაჯილდოებული ბრძანდებით მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიით.

ჩვენო მთვარისა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ნიჭიერ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ წინსვლას გისურვებთ თქვენს საყვარელ საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ზაქოქავს!

დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით, მთელი შემოქმედების გათვალისწინებით, მთვარისა კირისელიძეს მიენიჭა ბალაქტიონ ტაბიძის პრემია.

ქართველისთვის!

საქართველო - ღმერთია!

საქართველო - ერთია!

ყველაფერზე მეტია - ეს!

გვჯერა, თუ არ გვჯერა

მეეტრატე წერს...

ყველა, ყველა, ყველა, გვიფათურებს ხელს!

გაიყიდა ყველაფერი: - მინა,

ცა,

და...

წყალი!

და გვიბერავს, მაგრამ განა ზურგის ქარი?!

გზას გვილობავს ელვაც,

ლეღვაც, ქარიშხალიც,

საუკუნის ქარი!

საუკუნის ქარი!

ალარ გვიდგას დარები,

იასამნის ქარების,

იელვებს რომ ერთვიან,

კვლავ სამშობლო მარადი,

(ლოცვა კუბოს კარამდის!)

მინიერი ღმერთია!

დღეს ათასგვარი ჩალა-ბულატი...

დღეს ათასგვარი ჩალა-ბულატი, ძლივს გავაცოცხლე შენი სურათი და რომ ვხატავდი, უცებ, იფნიდან, გრძნეული სული წამომიფრინდა! როს უკვდავების დაბერა სიომ, მე - შემოსილი ლურჯი მდელითი, საკმელს ვუკმევდი

აქ, - კავკასიონს

და აქ ათასი წელი გელოდი!

დაგიცდი კიდევ ათასი წელი,

მოცელავს მაისს ივლისის ცელი!

დამავინწყდება სახე ღვთაების,

ნასათუთარი, ნაუკვდავები...

მერე... მაღალი შემოვა მნათე

და გაბრწყინდება ცაზე კანდელი,

მოეფინებათ ზედაზნის ხატებს

შენი ლამაზი სულის ნათელი...

წერო მწერდა წერილებს...

წერო მწერდა წერილებს,

სევდით გადაწერილებს...

წეროვ, რა განწინებს,

ამ ნალვლიან წერილებს?

...ფერად, ფერად, ფერადი...

გავინათლე გელათით,

ცაა შემონერილი,

ფერად ცისარტყელათი...

გზები განათებულან,

მთვარის თუთარჩელათი...

ვკრიფე, ვკრიფე ვარსკვლავნი,

მანათობელ ცისია,

ვხედავ, მხოლოდ მას კლავენ,

ვინც დიდების ღირსია...

აავდრებენ ავდარებს,

როცა ზეცა იგრგვინებს

და უღირსებს ადგამენ,

ღირსეულის გვირგვინებს...

წეროვ, ნუ მწერ წერილებს

სევდით გადაწერილებს!

\*\*\*

მშვიდი, ძალიან მშვიდი,

გალობს პატარა ჩიტი,

მიდის, ცხოვრება მიდის...

მთებზე მოჰფინა ბინდი...

მშვიდი, საოცრად მშვიდი,

გალობს პატარა ჩიტი!

\*\*\*

ავდარობს თუ ტირის ქარი,

ალარ გამოიდარა,

ისევ არწევს ტირიფს ქარი, -

ტირის ძველი გიტარა!

ალარც ძნაა, ალარც ულო,

ალარც ძველი ხიდია,

ჰოდა, სადღაც, სიხარულო, -

ეს დღეებიც მიდიან!

მასსოვს, როგორ მღეროდა,

გიტარაზე მამიდა,

ჩვენი ვაშლის ჩეროდან

თითქმის ყველა წავიდა...

ახლა გზებზე ბინდი წვება,

სადღაც ყვავის შინდი...

ახლა წყება, წყება, წყება,

სიხარულიც მიდის!

დარია თუ ტირის ქარი,

ალარ გამოიდარა,

ტირის ჭირში გამომწვარი

მამა-პაპის გიტარა!

ფრაგმენტი

როგორ შეჯერდით შატბერდის, ოშკის, ხახულის გმობაში, მე თქვენს ქებაში დავბერდი, თქვენ ჩემს შურში და მტრობაში, ერთმანეთისა ქიშპობა, არ გვარგებს ქართველობაში!

\*\*\*

იმერიდან, ამერიდან, ვარსკვლავები განმერიდა, სიცხისაგან, გვალვისაგან, გადაბუგულ ნარეკლიდან... ჩემი მინის სიყვარული სამუდამოდ ამეკიდა!

\*\*\*

ჩემი ლექსის სათავევ, ველარ ამოგათავე... იასამნის ტევრო, - ცოტა სიხარულო და...

სინანულო ბევრო! ას ვპოვებდი უმეტესს, გზა და გზა რომ მევლო, ჩემო გულის სინათლევე, ჩემო მზევე და მრევლო... ახალ დედამინას და...

ახალ ცას ვერ ვპოვებდი, დავრჩებოდი მინასთან ზეციერი პოეტი! ახალ დედამინას და, ახალ ცას ვერ ვნახავდი, ჩემო ლურჯო რინავ და, - ჩემო მთებო, - ნახვამდის!

ჩემო ლექსის სათავევ, შენ რა ამოგათავებს?!







ილია ბაკრაძე – 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ილია ანდროს ძე ბარამიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია.

ბატონო ილია!  
ჩვენო ერთგულო თანამოკალმევ!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ მშვენიერ და ორიგინალური ხელნერის მქონე შემოქმედს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 70 წლისთავს.

მართლაც რომ საამაყოა, რომ თქვენ ქართველ მწერალთა იმ გუნდს ეკუთვნით, რომლის მწერლური თუ სულიერი ფორმირება ჩვენს დედა-უნივერსიტეტში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა. პირველი ლექსები 1965 წელს გამოაქვეყნეთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“. ჯერ თსუ ახალგაზრდა მწერალთა წრის რიგითი წევრი იყავით, შემდეგ კი მისი გამგეობის თავმჯდომარე და აღმანახ „პირველი სხივის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ერთი სიტყვით, ჩვენი ალმა-მატერის მაღლი და მირონი ხვავრიელად შეისრუტეთ და, ალბათ, ამანაც შეგაძლებინათ სულიერი სინმინდის შენარჩუნება იმ ჯოჯოხეთურ სიტუაციებში, რომლებშიც დიდი ხნით ამოჰყავით თავი.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ნაადრევი ყოჩივარდები“ და „გაგრული რვეულიდან“. ამ კრებულებიდან თითქოს ალისფერი სისხლი მოედინება, ჩვენი ეროვნული სხეულიდან მომდინარე სისხლი. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ხომ ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი აპოკალიფსური ყოფის ლაბირინთებში გზააბნეული, ხელის ცეცებით მავალი მოგზაური, ერთგული რომ რჩება წინაპართა სალოცავებისა და შესაშური შეუპოვრობით ეზიდება მის წილ საჯილდაო ქვას.

უყურადღებოდ არც ქართველი ბავშვები დაგიტოვებინან, რომლებიც მუდამ დიდი დაინტერესებით კითხულობენ თქვენს საყმანვილო ზღაპარ-პოემებს („მრგვალეთი-გრძელეთი“, და „როგორ უშველა უბედურებამ კატა ვასიას“).

თქვენი პუბლიცისტური წერილების კრებული „იმედის ცრემლი“, უპირველეს ყოვლისა, პროფესინალიზმითა და საქმის ცოდნით იპყრობს ყურადღებას.

წლების განმავლობაში მსახურობდით ეროვნულ გვარდიასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იბრძოდით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მკერდით იცავდით საქართველოს დამოუკიდებლობას და ვაჟკაცურად მოიხადეთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით.  
ჩვენო ილია!

გულით გვახარებს, რომ სულ ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით სულმნათი აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი გახდით.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ღირსეულ კოლეგასა და თანამოკალმეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საწუკვარი მიზნების განხორციელებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

უაქოთაქვს!

დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, ილია ბარამიძეს მიენიჭა აკაკი წერეთლის პრემია.

დედას

შორიდან, მკრთალად, როგორც ნისლიდან, ვხედავ შენს თავშალს, დროით ფერმეცვლილს. ჩემ საფერებლად შენ ვერ იცლიდი, რომ მოიცალე, მე გაგექეცი.

მიხმობდა ლურჯი ფსკერი ბროლის ცის, ქვეყნის დაპყრობა მსურდა ლექსებით. შენს საფერებლად მალე მოვიცლი და ძალიან გთხოვ, ნუ გამექეცევი.

დედა და დედა

გამოვეთხოვე და მიწას ვანდე, ხელებს, რომლებიც პანისა მბანდნენ. მათი პატრონი ონავარ ყმანვილს, „დედა ენას“, რომ მიშლიდა თვალწინ, ასე მაცნობდა სანათესაოდ – ორი დედა გყავს: მე და ესაო. ორი სანყისი ჩემი კაცობის დამდეგა ქვეყნის კიდიოთ კიდე. დღეს ორი დედის ძუძუნაწოვი პირველი დედის საფლავთან ვიდექ. იქ მიიცრემლა ცივმა სამარემ გამრჯე ხელები, სათნო ჭალარა. დავრჩი მეორე დედის ამარა, პირველმა დედამ რომ შემაყვარა.

\*\*\*

მომწყინდა, ხვალ თუ ზეგ ნავალ და მოგშორდები, თითქოს სამუდამოდ და მაინც დროებით. უკვე დავიღალე შენი ოფოფებით, ოფისებით და სამინისტროებით. უკვე დავიღალე შენი ჯინჯილებით, შენი ზეიმით და შენი სატირალით, სოფელში წარსული და პატარა ბიჭი მელის – ქალაღდის ნავების ფლოტის ადმირალი.

ქველ მოტივზე

მე, შენი მკერდის პეშვით მდნობელი, ღონემიხილი შენი აღმართით, ყოველი ნახვით გემშვიდობები და არასოდეს ვამბობ „ნახვამდის!“, რადგანაც ჩემთვის, ცბიერო გოგო, მოგივლენია შევებად განცდები, მე შენს უძირო თვალებთან როგორც უფსკრულის პირთან შევებარბაცდები. და შუქმოსილი შენი ლამპრებით ფეხქვეშ გაგიფენ ამ საღამოს ცას. თუმცა, ძველია ეს ყველაფერი, როგორც ახალი მთვარის ამოსვლა.

პარადოქსი

გადიან წლები, მე ვბერდები შენ კი მშვიდდები თუ მეჩვენება? – გამცვეთია ქარში მე ფრთები, მაშინ ვმარცხდები, როდესაც შენ გიპყრობ შეტევით, მაშინ ვიმარჯვებ მე, როდესაც უხმოდ გნებდები.

უცნაური ბრძნობა

გრძნობას ჯერაც განუცდელს და უნახავს განვიცდი და მგონი, სასაცილოც ვარ – ვმადლობ, ვისაც ჩემზე მეტად უყვარხარ, ჩემზე მეტად სხვა თუ გიყვარს, გილოცავ! მე ყველაფერს ავიტან და გავწირავ. არც შეხვედრებს გაგიხსენებ ადრინდელს, რომ შენ, ქვეულს ჩემი სულის ნაწილად, მომავლისკენ გზები გაგიადვილდეს. დროს თან ახლავს ავიცა და კარგიცა, ბედისა და უბედობის დროშიაც, გწამდეს, ჩემი სიყვარული დაგიცავს – შენს მუხლებზე ნაფერები გომია.

\*\*\*

– კმარა, მოთმენა კმარა, მომწყინდა შენთან წოლა! ქალმა დატოვა ქმარი და ნიავს გაჰყვა ცოლად. არ ამტყუნებდა არვინ მიამიტსა და ხიხოს. . . მიტოვებული ქმარი ერთ დროს გრიგალი იყო.

ნ – მს.

ნახვედი, ახლა სხვასთან ერთობი და უშენობა მტკივა კვნესამდე. რას იზამ კარგო, ჩვენი ერთობა ან ღმერთს არ სურდა, ან სხვა, მესამეს. ყოველ დღეს შენზე ფიქრი მოჰქონდა, დღეს კი ქუჩაში მავალს თავდახრით წინ შემეფეთა შენი გოგონა, სულ დედას ჰგავდა ის მამაძალი

\*\*\*

ალარ ყიდულობ უკვე მიმოზებს, სარკეში ცქერამ დაჰკარგა აზრი. ასაკი, ქალს რომ გაცვლი ღვინოზე, გაიხლოვდება პანტირას ზღაზენით. შენ, ჭადარივით ქარებმა გძარცვეს და ფოთოლ – ფოთოლ წაგართვეს დღენი. ხელისგულიდან გიკენკავს მარცვლებს ფრთამოტეხილი ბავშვობა შენი.

ი – ს

ბავშვობის გაზაფხულს ხსოვნიდან ვერ წაშლი, პირველ სიყვარულსაც ვერ წაშლი ხსოვნიდან, როდესაც ალუჩა გაეხვა ზენარში, მე შენი უმანკო ღიმილი მომინდა. სადა ხარ!

ვისხენებ შენს ტუჩებს ვნებინანს და ვიცი, არ მელის სიმშვიდე დღეს და ხვალ. . . ხარ შვილიშვილების ლამაზი ბებიო თუ მხოლოდ შვილების ლამაზი დედა ხარ? ბედნიერი გაქვს ცხოვრების შუადღე თუ წლებმა ჩაგიქრეს თვალებში მუხტები, ან ჩემი ლექსები შენამდე თუ აღწევს, ან როცა კითხულობ, ვიზეა, თუ ხვდები? რატომღაც მგონია, ეს ლექსი მოგქებნის, შემოგყრის ნაღველსაც და მოგგვრის ღიმილსაც, სხვა რაღა!

გვარავდეს ცით ანგელოზები, პოეტს სიყვარულში იღბალი ვინ მისცა!

# სოლონიძის ლიტერატურული ტრადიციის

ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს დიდი ისტორიული ტრადიცია აქვს, ბოლო 15 წლის მანძილზე კი განსაკუთრებული აქტიურობითა და თარგმნილი ლიტერატურის სიუხვით გამოირჩევა. ეს ის პერიოდია, როცა სომხეთის მწერალთა კავშირის ლეონ ანანიანი ჩაუდგა სათავეში. საქართველოს დიდი მეგობარი, დახვეწილი ინტელიგენტი და გულისხმიერი პიროვნება. მის სურვილს, ააღორძინოს ორი ქვეყნის ლიტერატურული ტრადიციები დიდი ინტერესით ეხმებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირიდან რევაზ მიშველაძე და მაცვალა გონაშვილი. ამ ურთიერთობების შედეგი კი გასაოცარია: – სომხური პოეზიისა და პროზის ანთოლოგიები ქართულად; ქართული პოეზიის, პროზის, ახალგაზრდული პოეზიის ანთოლოგიები ქართულად; გაგიკ დავითიანისა და ლეონ ანანიანის ნიგნები ქართულად; ლიტერატურული ფესტივალები სომხეთში ქართველ მწერალთა მონაწილეობით; ვაჟა-ფშაველას საიუბილეოდ კავკასიულ ახალგაზრდა მწერალთა ფესტივალი საქართველოში; სომხურ-ქართული ორენოვანი ჟურნალი „ხიდი“, რომელსაც ღირსეულად რედაქტორობდა მართლაც ორ ერს შორის კეთილ ხიდად ქცეული ბრწყინვალე ქალბატონი ანაიდ ბოსტანჯიანი.

ამ წლებში სომხურად გამოდის: რევაზ მიშველაძის, ოთარ ჭილაძის, გურამ ოდიშარიას, ირაკლი სამსონაძის რომანები სომხურად (მთარგმნელი

ანაიდ ბოსტანჯიანი), მაცვალა გონაშვილის ლექსების კრებული (მთარგმნელი გაგიკ დავითიანი), თამარ გაბროშვილის ლექსები (მთარგმნელი მაცვალა გეურქოვა). ორი ქვეყნის ლიტერატურულ ურთიერთობებში განსაკუთრებით აღსანიშნავია გივი შაჰნაზარის როლი, რომლის ბრწყინვალე თარგმანები სომხურიდან ქართული ლიტერატურის საგანძურს მიემატა. ასევე უნდა აღვნიშნოთ სომეხი აკადემიკოსის, ქართველოლოგის ჰრაჩია ბაირამიანის წვლილი, რომელმაც 50-ზე მეტი ქართველი მწერლის ნაწარმოები თარგმნა სომხურად.



წელს კი განსაკუთრებით აღსანიშნავია გაგიკ დავითიანის უბრწყინვალესად თარგმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც შესულია: ანა კა-

ლანდაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ბესიკ ხარანაულის, ნაილი ნეკერიშვილის, რენე კალანდიას, ენვერ ნიჟარაძის. მზია ხეთაგურის, ვანო ჩხიკვაძის, დავით მჭედლურის, დოდო ჭუმბურიძის, ემენ დავითაძის, ბორენა ჯაჭვლიანის, ვახტანგ ხარჩილავას, ბალათერ არაბულის, ვაჟა ხორნაულის, ბადრი ქუთათელაძის, ბათუ დანელიას, ნუგზარ კობერიძის, გურამ ოდიშარიას, დალილა ბედიანიძის, შარლოტა კვანტალიანის, დავით შემოქმედელის, გივი სულაკაურის, მანანა ჩიტიშვილის, მიხეილ ქურდიანის, მაცვალა გონაშვილის, ბელა ქებურიას, თამაზ ბაძალუას და სხვათა ნაწარმოებები.

კარგი საჩუქრები მიიღეს წელს სომეხმა პატარებმაც: მაცვალა გონაშვილის ზღაპრები სომხურად (მთარგმნელი ედუარდ მელიტონიანი). სწორედ ედუარდ მელიტონიანმა თარგმნა ბალათერ არაბულის ლექსებიც, რომელსაც მალე წიგნად მიიღებს სომეხი მკითხველი. ედუარდ მელიტონიანის წიგნმა „ადამიანი და წიგნი“ კი ქართველი მკითხველის მოწონება დაიმსახურა (მთარგმნელები – გივი შაჰნაზარი, ბალათერ არაბული, მაცვალა გონაშვილი, ანაიდ ბოსტანჯიანი, ნანა ახობაძე, დიანა ტერ ბალდასაროვა).

ორი ქვეყნის ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებისათვის მაცვალა გონაშვილი სომხეთის მწერალთა კავშირის საპატიო წევრად მიიღეს და მეგობრობის მედლით დააჯილდოვეს.

## ედუარდ მელიტონიანი

– სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

### ლექსი ნათქვამი თბილისზე

როცა პირველად ვნახე თბილისი, თითქოსდა მკერდთან ისარი დამკრეს, თითქოს პირველად ვიგემე ტრფობა, თითქოს თევზივით მოვედე ანკესს. ქალაქია თუ დიდი თეატრი? გუგუნებს, მღერის ის ათას ხმაზე, განბანულია მტკვრის მღვრიე წყალში, ვარსკვლავთა ჯილა ადგია თავზე. ო, ეს სახლებიც, ჯამბაზებივით ერთურთს მხარი-მხარ მოჰკიდებიათ, ხან ათინათთან იწყებენ თამაშს, ხან რძისფერ ნისლში იმალებიან. აქ, სამ ენაზე საიათნოვა მღეროდა, სიტყვის ჯადო-თილისმა, ვერ მოერევა პოეტს სიკვდილი, ეს კარგად იცის დედა-თბილისმა. ანგელოზების ისმის გალობა, ციდან ვარდების ცვივა ფანტელი, ლოცავს პოეტებს მინაც და ზეცაც და ნარიყალას ადგას ნათელი. პოეტებს მუდამ უყვართ ერთურთი ქვეყნებს კი მაინც ომი სწყურიათ, დანყველილია, ვინც მტრობას თესავს, ვარდის ეკალით დაისრულია. და დგას პოეტი ხელებგაშლილი, მთაზე აღმართულ ჯვარს მოგაგონებს, სიტყვა – რომელიც არავის ესმის, გადაჰფენია მაღალ მთა-გორებს, ამ ხმას დაეძებს სული დევნილი და ორღანების მაღალი ყელი, ისმის ზეციდან: – გიყვარდეთ ყველა და გაუნოდეთ ერთმანეთს ხელი. ერთ მხარეს მტკვარი მოედინება, მეორე მხარეს მდინარე ღვინის, შეგხვდება ქალი მაცვლისთვალეა და ღვინოსავით შეგასმევს ღიმილს. აქ ფიროსმანი ხატავდა ზეცას, აქ მებადური ეშხით მღეროდა

და როგორც ქვიშის ოქროს მარცვლები ღვთიური ჰანგი განიბნეოდა. დავლით მათი შესანდობარი, ვინც ვერ მოესწრო ამ დილას მზიანს, ვინც ჩაიარა მტკვარივით მდორედ და ღვინოსავით ვინც დაილია. აქ, ამ ქალაქში ყველა ვაჟკაცი ცეკვავს ცეცხლივით ვნებააშლილი და გამძლეობის თოკზე გადადის მუშაითივით ხელებგაშლილი. აქ კიკაბიძე დადის ქუჩებში, აქ „ჩიტო-გვრიტო“ ჰიმნია ძმობის, აქ სტუმარს უფლის კაცადა სთვლიან და გლოცავს მტკვარი, მნახველი ყოვლის. აქ მთაა წმინდა, მგოსანთ სავანე, აქ ცაა ლურჯი და უნაპირო უნდა უცქირო თბილისის ზეცას, თუ გინდა გული გაიაპრილო. მტკიცეა ძმობის სიტყვა და ფიცი, ისე ტკბილია, ვით დედის ნანა, აქ კანონია სიტყვის კაცობა და ყველა კანონს აქვს თავის ძალა. ნარიყალასთან ჩაივლის მტკვარი მიესალმება მეტესს, მადათოვს, ქართველ პოეტებს მოვუხმობ ისე, როგორც ჰაოსი ეძახდა ქართლოსს. და გამიხსნიან გულს, როგორც კარებს, და ღვინო თასში დაიწყებს ციმციმს, უხმო ლოცვაა ჩვენი ამბორი, არ უნდა სიტყვა და ფიცი-მტკიცე. და მეჩვენება მტკვარზე ტივები, ყარაჩოლლები შავი ჩოხებით და აივნებზე აბანოებთან გადმოფენილი ჭრელი ნოხები. ათასი ფერი ამირევს მზერას, სმენას დაათრობს ზურნა და საზი, ხან მეომარი მომელანდება, ხან ლამაზმანი, ხან ოინბაზი. შემოგველია ღამე ქეიფში და სხივით მავსებს დილა მზიანი, შენ ხარ ქალაქი ჩემპიონების გაფრინდაშვილის, პეტროსიანის. ჩემო თბილისო, ჩემო თილისმავ, შენთან სტუმრობა ყოველთვის მსურდა, შენ ხარ ჭადრაკის გაშლილი დაფა, სად სიყვარული იმარჯვებს მუდამ.

## ლევის ხე

ლევის ხის ქვეშ ზიხარ შიშველი და წერ ლექსებს. შენ შეგიძლია, რომ მოწყვიტო მისი ფოთოლი და დაიფარო ისე, როგორც ეს ქნა ადამმა. შენმა ლევის ხემ გაუძლო დროს და ზამთრის ყინვებს, შენთვის ფიქრობ: არ ყოფილიყო ლალატი და მერე ჯვარცმა, ხომ ვერასოდეს ვერ აღდგებოდა, სწორედ ამისთვის მიუახლოვდი ლევის ხეს და ჩამოეკიდე მის მსხვილ ტოტზე, როგორც იუდა. მაინც როგორი უკვდავია ეს ლევის ხე – მან თვითონ ნახა ადამი და ანუგემა მერე იუდაც და თან ნაყოფი უწილადა ადამიანებს.

## თიხვა

სინანულის და განსჯის გარეშე ვიშკი იმას, რაც არასდროს დამითესია. მე იმას ვიშკი რაც დავთესე – არც მეტი და არც ნაკლები, სულ ეს არის თავიც და ბოლოც. ვთიბავ მდუმარე, თავთავია ჩემთვის მთავარი ხაოიანი წვეროებით და თავისი ოქროს ფერებით.

\*  
შენ გაძევებენ აქედან ქვებით და წყლის ტალღები დასავლისკენ მიგაქანებენ და მხოლოდ ხალხი ინახავს მაინც, დაფარული ზიზლის ბადით, ზრუნვად ქცეულ სიყვარულის ბრწყინვალეობას.

\*  
როცა წელიწადში ერთხელ მიდიხარ შენი მშობლების საფლავზე, ისინი შენ გპატიობენ, რადგანაც სხვა არაფერი შეუძლიათ მიცვალებულებს.


თარგმნა მაცვალა გონაშვილმა თარგმნა ბალათერ არაბულმა



რევაზ მიშველაძის ახალი რომანი

საქართველოს სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ნობელის პრემიის ნომინანტის რევაზ მიშველაძის ამ ახალ რომანში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ აშენებდნენ საქართველოს უკეთესი შვილი ეროვნულ სახელმწიფოს და როგორ შეცვალა თუნდაც ბოლო სამასი წლის განმავლობაში ერის ფსიქიკა უღმობელმა დრომ და უბედო ბედმა.

„ნამება“ რევაზ მიშველაძის მესამე რომანია. პირველი - „ჩუჩუჩის გადაჩვეული კაცი“ (2011 წ.) წლის საუკეთესო რომანად იქნა აღიარებული. მეორე - „ციცი ბობაქარი“ (2016 წ.) ნობელის პრემიაზეა წარდგენილი. „ნამება“ ქართველი პროფესორის დრამატულ ცხოვრებაზე გვიამბობს ამ ჩვენს გაუსაძლის დროში.



პოეტის „გულის ნაყურში“



უნდა და სადაც ხუთასამდე ლექსია, უფრო სწორედ იქნება ნათქვამი მისი გულის ნაყურია გამოშვებული ერთი ამოსუნთქვით იკითხება. გადაშლი წიგნს და პირველივე ლექსი, რომელსაც „პარადოქსი“ ჰქვია და სინამდვილეში პოეტის მანიფესტია საუბარს გიმართავს კაცთმოყვარეობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, აქ შეიგრძნობ კახეთის მდინარე ალაზნის მღვლეარე სუნთქვას და სუნთქვაში ჭოროხის, ფსოუს, ენგურის, რიონ-იორის და, რა თქმა უნდა, მტკვრის „ამო დუდუნს“, გულსაკლავად რომ გიყვება „ქართლის ჭირზე“ და ეს ხაზი მთელ ლაიტ-მოტივად რომ გასდევს წიგნს. მე რამოდენიმე სტრიქონი ამოვწერე, ვფიქრობდი, თან დაეურთავ ამ შესანიშნავად გამოცემულ კრებულს-მეთქი, მაგრამ ახლა, ამ წამს გადავწყვიტე, რომ არა, არ შეიძლება ამის გაკეთება, რადგანაც იგი იქნებოდა სხეულიდან ამონაგლეჯი ლამაზი სიტყვები, სიტყვები ტკბილად სასმენი, მაგრამ ერთი დიდი მთლიანობის დამრღვევი, რომელიც ასე სათუთად, ბრაზით, სინაზით და სიყვარულით შეუკრებია პოეტს ამ წიგნში, ამიტომაც, რომ გაუგო გემო ამ გულის ნაყურს იგი მთლიანობაში უნდა ნაიკითხო და მთლიანობაში აღიქვას და, ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა და გეუბნები შენ, მკითხველო, ჩვენო ერთგულო მეგობარო-ესე წიგნი დიდი საჩუქარია თქვენთვის და იგი შენ უნდა ჩაიკითხო და შენვე უნდა მოგელამუნოს გულზედა! მაშ, გზა მშვიდობისა ვუსურვოთ სერგი კაკალაშვილის ამ „გულის ნაყურს“-გზა მშვიდობისა!

ნოდარ კობერიძე

გურამ ჭავჭავაძე

თამთას

ექსპრომტი ჩემს შვილს, თამთას მისი ქორნილის დღეს გაუმარჯოს დღეის დღეს, როგორც უფლის წყალობას, როგორც თამთას ზეიმს და როგორც გარდუვალობას.

ისე მეამაყება შენი ხელგარჯილობა, როგორც შენი აღმასვლა. როგორც შენი გმირობა,

გაუმარჯოს ყველას, ვინც შენი ფასი იცოდა, არსად არ მიგატოვია, შენი ცოდვით იწვოდა,

ვისაც შენი სწამდა და ვისაც შენი სჯეროდა, ვინაც ამ დღეს ნატრობდა, ვინაც ამ დღეს ელოდა.

გაუმარჯოს, ვინც მარტო არასოდეს დაგტოვებს, გიერთგულეებს ბოლომდე, არსად არ მიგატოვებს.

გაუმარჯოს ჩემს ანზორს, მის ბედნიერ გაცნობას, მის სიყვარულს და ვლოცავ და მის კაცურ კაცობას.

გაუმარჯოს დღეის დღეს, როგორც უფლის წყალობას, გაუმარჯოს ჩემს თამთას და მის ქართველქალობას.

ისე მეამაყება ჩვენი მამაშვილობა, ლამის არის დამიცხრეს ყველა ძველი ჭრილობა.

განცხადება

30 ოქტომბერს, 5 საათზე, საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართება 1942 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილის ბრალდებით დახვრეტილი ახალგაზრდა პოეტის გიორგი ძიგვაშვილის დაბადების 100 წლის-თავისადმი მიძღვნილი საღამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნათია ზაჯელიძე

აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მოსწავლე

სიმთა ჟღერა

ყოველი წუთი, ყოველი ბგერა და სიმთა წრფელი ჟღერა, სულში რომ გწვდება და არ გასვენებს, მისი რომ მუდამ გჯერა. გჯერა, მომავლის ნოტებს გაჰყვები, და სულშიც წყდება ლელვა სევდა, ტკივილი და სინანული და იმედების გჯერა. შენში იღვიძებს ჰარმონიული და გრძნობით სავესე ლხენა, ცოცხლდება ნოტი, ყოველი ბგერა და გიპყრობს სიმთა ჟღერა.

იმედი

ცხოვრება კლდეს ჰგავს, უნდა ებრძოლო, რომ მიაღწიო ყოველთვის შენსას, გაშალე ფრთები, გქონდეს იმედი, გწამდეს, ოდესღაც მიაღწევ მწვერვალს.

სიყვარული

თითქოს გუშინ გაგიცანი, გნახე, დღეები ხომ წამებოვით ქრიან, რამდენი რამ შერჩენია ფიქრებს, ჩვენს ბავშვობას დღეს წარსული ჰქვია. უაზროა ხანგრძლივობა დროის, ვერასოდეს მოგვაყენებს ზიანს, ვერაფერი ვერ ამოშლის გულში გრძნობას, რასაც სიყვარული ჰქვია.